პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. ა. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.
6-7
ნოემბერი
1934 წ.
№ 258 (4114)

„ეკონომიურ რყევათა და სამხედრო-პოლიტიკურ კატასტროფების ბობოქარ ტალღებს შორის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი დგას განცალკევებით, როგორც სალი კლდე, განაგრძობს რა სოციალისტური მშენებლობის საქმეს და ბრძოლას მშვიდობიანობის შესანარჩუნებლად“ ი. სტალინი

გაუმარჯოს მსოფლიო ოქტომბერს!

მთელ მსოფლიოს მუშებს და მუშა ქალებს.

ყველა მშრომელს, ყველა ჩაგრულ ხალხს!

ამხანაგებო, კლასობრივო ძმებო!

17 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც რუსეთის პროლეტარიატმა ბოლშევიკების კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ლენინის ხელმძღვანელობით, დაამხო კაპიტალის ხელისუფლება, ბურჟუაზიის და მემამულეთა მთავრობა და ძალაუფლება თავის საკუთარ ხელში აიღო.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომლითაც კაცობრიობის განვითარებაში ახალი ხანა დაიწყო, რუსეთის მუშების **შეიარაღებული აჯანყების** გზით და გლეხთა მილიონების მხარისდაჭერით გაიმარჯვა. იგი მომზადებული იყო გაბატონებულ კლასების წინააღმდეგ პროლეტარიატის მიერ ბოლშევიკების ხელმძღვანელობით წარმოებული მრავალი წლის გმირული ბრძოლით. იგი მომზადებული იყო იმით, რომ ბოლშევიკების კომუნისტურმა პარტიამ მენშევიკების და სოციალისტ-რევოლუციონერების **შეთანხმებლური, რეფორმისტული პარტიების წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში** მუშათა კლასის უმრავლესობა მიიმხრო და ჩააბა გადამწყვეტ ბრძოლაში ჩაგვრის, შიმშილის და იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის, სოციალიზმისათვის.

გლეხობასთან დაკავშირებული მუშათა კლასის ხელისუფლება, მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა **საბჭოების ხელისუფლება**, იყო მკაცრი დიქტატურა ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგ. საბჭოთა ხელისუფლება ამავე დროს მშრომელთათვის ფართო დემოკრატიას წარმოადგენს. ამ ხელისუფლებამ მასები დარაზმა ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგ, რომელნიც გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევდენ, იმპერიალისტების სამხედრო ინტერვენციის წინააღმდეგ.

მან სამოქალაქო ომში უზრუნველჰყო პროლეტარიატის გამარჯვება. მან საბჭოების ქვეყანა ინდუსტრიალიზაციის გზით წაიყვანა. მან სოფლად საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებას მიაღწია. პროლეტარიატის დიქტატურამ, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, უზრუნველჰყო პირველი ხუთწლედის გამარჯვება, მას მივყევართ მეორე ხუთწლედის გამარჯვებისაკენ, უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენებისაკენ.

საბჭოთა კავშირმა, ძლევამოსილი პროლეტარული რევოლუციის და პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანამ მთელ მსოფლიოს ნათლად დაანახვა, თუ რის გაკეთება შეუძლია **მუშათა კლასს** ტექნიკურად და კულტურულად ჩამორჩენილ ქვეყანაშიც კი, როცა ხელისუფლება მის ხელშია.

პროლეტარიატის დიქტატურამ საბჭოთა კავშირში, რაც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით არის განხორციელებული, შექმნა პირობები მშრომელი მასების კეთილდღეობის და კულტურის განუწყვეტელი ზრდისათვის. მან საბჭოთა კავშირი გადააქცია სოციალიზმის ქვეყნად, სადაც უმუშევრობა არ არის, სადაც მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასი განუხრელად იზრდება, სადაც სოციალური დაზღვევის უფართოესი სისტემაა გატარებული, სადაც ყოველი მუშა თავის ხვალინდელ დღეში მტკიცედ არის დარწმუნებული, სადაც შრომა მშრომელებისათვის ღირსების და სიმამაცის საქმე გახდა. სოფლის მეურნეობის სოციალისტურმა გარდაქმნამ სოფლად მოსპო გაღატაკება და უზრუნველჰყო მთელი კოლმეურნე გლეხობის აღმავლობა შეძლებული და კულტურული ცხოვრებისაკენ. საბჭოთა ხელისუფლებამ ყველა წინათ ჩაგრული ეროვნება გაათავისუფლა და ისინი ძმურ კავშირში გააერთიანა.

საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები იძლევიან სოციალიზმის საქმისადმი თავდადებული ერთგულების ბრწყინვალე მაგალითს, მთელ მსოფლიოს ჩაგრულებთან და ექსპლოატირებულებთან ნამდვილი საერთაშორისო სოლიდარობის მაგალითს. საბჭოთა კავშირის მშრომელთა საბრძოლო მაგალითს უკვე მიბაძეს ჩინეთის მუშათა და გლეხთა მასებმა, რომელთაც თავისი ქვეყნის ტერიტორიის ნაწილზე საბჭოთა ხელისუფლება შექმნეს. ჩინეთის საბჭოები გვიჩვენებენ იმპერიალისტური დამონებისა და საკუთარი ექსპლოატატორული კლასების ჩაგვრისაგან მთელი ჩინეთის ხალხის და ყველა კოლონიალური ქვეყნის მშრომელთა ხსნის ერთადერთ გზას.

მთელ მსოფლიოს ექსპლოატირებულნი და ჩაგრულნი იცავენ საბჭოთა კავშირს, ძლევამოსილი სოციალიზმის სიმაგრეს, მშვიდობიანობის ბურჯს, ახალი სოციალისტური კულტურის დიდ სამჭედლოს, **მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ბაზას და დასაყრდენს, ყველა ქვეყნის მუშათა და მთელ მსოფლიოს ჩაგრულ ხალხთა სოციალისტურ სამშობლოს, კაშკაშა შუქურას, რომელიც გზას უჩვენებს კაპიტალისტური მონობის წინააღმდეგ მებრძოლ განაწამებ კაცობრიობას.**

ყველა ქვეყნის მშრომელებს თავს დასტრიალებს ახალი იმპერიალისტური ომის მუქარა. კაპიტალისტური მსოფლიო გამალებით იარაღდება, მასობრივი ხოცვა-ჟლეტის სულ ახალ-ახალ, ჯერ კიდევ არნახულ იარაღებს ამზადებს. იაპონია და გერმანია პირდაპირ ცდილობენ ომის პროვოკაციულად გამოწვევას. მაგრამ ომის გადადება შეიძლება მხოლოდ პროლეტარიატის ყველა ძალის გაერთიანებით ერთიან ფრონტად კაპიტალიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის. ომს, მშრომელთა ახალ სისხლისმღვრელ ამოწყვეტას, შეიძლება ხელი შეეშალოს მხოლოდ მუშების მიერ სოციალ-დემოკრატიის შეთანხმებლური პოლიტიკის სრული უკუგდებით, მხოლოდ ძლევამოსილი ბრძოლით **პროლეტარიატის** დიქტატურისათვის.

თავი რომ დააღწიოს კრიზისს, რომელშიაც კაპიტალისტური მსოფლიო სულს ღაფავს, ბურჟუაზია კიდევ უფრო აძლიერებს მუშების, ფერმერების, კოლონიათა და ეკონომიურად სუსტ ქვეყანათა გლეხობის ძარცვას. იგი ცდილობს პირველ რიგში **გატეხოს მუშათა კლასი, წაართვას მას დემოკრატიულ უფლებათა უკანასკნელი ნაშთები, კიდევ უფრო შეამციროს მისი ლატაკური ხელფასი, კიდევ უფრო გააუარესოს მისი მდგომარეობა, ამოწყვიტოს მისი რევოლუციური ავანგარდი.** ფაშიზმი ხელისუფლებას დაეპატრონა გერმანიასა და ავსტრიაში, იგი ხელისუფლების სათავეში დგას იტალიასა და პოლონეთში. იგი ყველა ქვეყნის მშრომელებს ემუქრება. წარმოადგენს რა ბურჟუაზიის მოიერიშე რაზმს მუშათა კლასის წინააღმდეგ, ფაშიზმი, პირველ რიგში, ცდილობს მოაწყოს თავდასხმა მსოფლიო პროლეტარიატის დამკვრელ ბრიგადაზე — საბჭოთა კავშირზე.

მაგრამ პროლეტარიატს და მშრომელთა მასებს შეუძლიათ ფაშიზმის შემოტევა მოიგერიონ, თუ პროლეტარიატი თავისი რიგების მებრძოლ ერთიან ფრონტს შექმნის და თუ ყველა მშრომელთან ერთად კაპიტალიზმის წინააღმდეგ **გადამწყვეტ ბრძოლას** გააჩაღებს.

ბურჟუაზიასთან შეთანხმებლობის პოლიტიკამ, რომელსაც სოციალ-დემოკრატიული პარტიების ხელმძღვანელობა ატარებდა, 1918—20 წლებში, ჩაშალა პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება გერმანიასა, ავსტრიასა, უნგრეთსა, და იტალიაში. სოციალ-დემოკრატიის კლასობრივი თანამშრომლობის პოლიტიკამ **ხელფეხი შეუკრა მუშათა კლასს, გათიშა მისი რიგები და შეარყია მისი ძალები** შემოტევაზე გადმოსული კლასობრივი მტრის წინაშე.

(გაგრძელება იხ. მე-2 გვერდზე).



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლასობრივ ძმებს. კაპიტალიზმის ტყვეებს, ფაშიზმის მსხვერპლთ.

მუშათა კლასის გამარჯვებისათვის მებრძოლთ—ჩვენი პროლეტარული სალამი

მთელ მსოფლიოს მუშებს და მუშა ქალებს

(დასასრული)

ბურჟუაზიასთან შეთანხმებლობის პოლიტიკას შედეგად მოჰყვა ფაშიზმი გერმანიასა და ავსტრიაში.

არ არსებობს მშვიდობიანი გზა პროლეტარიატის ხელისუფლებისაკენ

არ არსებობს მშვიდობიანი გზა სოციალიზმისაკენ.

კაპიტალიზმზე იერიშის მიტანის იდეა მასების შეგნებაში სულ უფრო-და-უფრო მწიფდება. სოციალ-დემოკრატიული მუშები ზურგს აქცევენ რეფორმიზმს და ბურჟუაზიასთან თანამშრომლობას და კლასობრივი ბრძოლის გზაზე დგებიან. ამა წლის თებერვალში ავსტრიის გმირი მუშები, რომლებმაც ნამდვილად უკუაგდეს კლასობრივი თანამშრომლობის სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკა, გამოვიდნენ იარაღით ხელში, რომ ფაშიზმისათვის გზა გადაეღობათ. მაგრამ ისინი დამარცხდნენ, რადგან სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომელიც მათ ხელმძღვანელობდა, პოლიტიკურად განაიარაღა ისინი. არ მოამზადა ისინი გადამწყვეტი ბრძოლისათვის და არ წაიყვანა კაპიტალიზმზე შესატევად.

ოქტომბერში ესპანეთის მშრომელნი, მუშათა კლასის მეთაურობით, აღდგნენ იარაღით ხელში, რომ თავისი პური და თავისუფლება დაეცვათ, ფაშისტური რეაქციის შემოტევა უკუეგდოთ. ასტურიის მუშები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩაებნენ ბრძოლაში მუშათა და გლეხთა ხელისუფლებისათვის.

ძმებო პროლეტარებო!

კომუნისტურმა ინტერნაციონალმა სოციალისტურ ინტერნაციონალს მიმართა წინადადებით დაუყოვნებლივ მოეწყოთ ყველა ქვეყანაში კომუნისტური და სოციალისტური პარტიების გაერთიანებული გამოსვლები ესპანეთის მებრძოლი ხალხის დასაცავად. მაგრამ მაშინ, როცა მთავრობის არტილერია ანგრევდა ასტურიის მაღაროებს და ცოცხლად მარხავდა მიწის ქვეშ შეფარებულ მაღაროელ მუშებს; მაშინ, როცა სამხედრო თვითმფრინავები ჰაერიდან ესპანეთის ქალაქებს და სოფლებს ყუმბარებს უშენდნენ, როცა ყოველ დღე, ყოველ საათსაც კი ესპანეთის გმირი მუშები და გლეხები, მათი ცოლები და ბავშვები ათასობით იღუპებოდნენ, — ამ დროს სოციალისტური ინტერნაციონალის ოფიციალურმა ხელმძღვანელებმა ფორმალური საბაბით გაერთიანებული გამოსვლების საკითხის განხილვა სამი კვირით გადასდეს!

კომუნისტური ინტერნაციონალი განაგრძობს ერთიანი ფრონტის პოლიტიკას. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, გამოუცხადეთ სოლიდარობა ესპანეთის მებრძოლ მუშებს! გამოდით, როგორც ერთი კაცი, ესპანეთის ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელმაც მუშათა კლასის და გლეხობის სისხლში ჩასახრჩობად მთელი თავისი ძალები გამოიყვანა!

კლასობრივო ძმებო! ამხანაგებო! მოიკრიფეთ მთელი ძალღონე, რომ რაც შეიძლება მალე დაამყაროთ მუშათა კლასის ერთიანი ფრონტი ფაშიზმის და იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ საბრძოლველად, პურისა და თავისუფლებისათვის საბრძოლველად, ხელისუფლებისათვის, სოციალიზმისათვის საბრძოლველად

სოციალ-დემოკრატო მუშებო! ყველა პოლიტიკური მიმართულების მუშებო! გაერთიანდით კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ! იარეთ იმ რევოლუციური გზით, რომლითაც რუსეთის პროლეტარიატის ოქტომბრის რევოლუციამ გაიმარჯვა, რომლითაც მხოლოდ შეუძლია მუშათა კლასს გაიმარჯვოს!

ყველანი ჩაებით ფაშიზმის და ომის წინააღმდეგ ბრძოლაში!

ყველანი დაეხმარეთ ესპანეთის გმირ მუშებს და გლეხებს!

დაიცავით საბჭოთა კავშირი — ყველა მშრომელის და ჩაგრულის სოციალისტური სამშობლო, სოციალიზმის და ხალხთა შორის მშვიდობიანობის ბურჯი!

დაიცავით ჩინეთის საბჭოები!

გაუმარჯოს მუშათა კლასის ერთიან ფრონტს! გაუმარჯოს მეტროპოლიების და კოლონიების მუშათა და გლეხთა ბრძოლის კავშირს!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციას!

გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას მთელს მსოფლიოში!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი.

კაპიტალიზმის კრიზისი

კაპიტალისტური მრეწველობა, რომელიც 1933 წ. მეორე ნახევარში ოდნავ გამოცოცხლდა, მიმდინარე წელს ისევ ქვევით ეშვება. 1934 წ. ივლისში სამრეწველო პროდუქციის ინდექსი უფრო დაბალი იყო, ვიდრე 1933 წ. ივლისში. განსაკუთრებით ეს თვალსაჩინოა მძიმე მრეწველობაში. ყველა კაპიტალისტურ ქვეყნის მრეწველობის საერთო პროდუქციის ინდექსი 1934 წლ. ივლისში შეადგენდა 77, 1928 წ. 100-თან შედარებით. შემცირდა თუჯის გამოდნობა თუ 1929 წ. ივლისში ყველა კაპ. ქვეყანაში გამოადნეს 7,9 მილიონი ტონა თუჯი, 1933 წ. აგვისტოში გამოადნეს 4 მილიონი ტონა. იმავე პერიოდებისათვის, შესაბამისად, ფოლადის მსოფლიო პროდუქცია შეადგენდა 9.8 შემდეგ 6 და 5,1 მილიონ ტონას, ხოლო ქვანახშირის მსოფლიო პროდუქცია—1933 წ. ოქტომბერში—115 მილიონ ტონას, 1933 წლის აგვისტოში—77 და 1934 წ. ივლისში—71 მილიონ ტონას. მსოფლიო ექსპორტი 1928 წ. შედარებით (1928 წ. 100) 1934 წლ. ივლისში შეადგენდა 33,3.

დაქვეითებას აქვს ადგილი მსუბუქ მრ[illegible] შემცირდა ბამბის სამრეწველო მოხმარება. 1933 წ. მეორე ნახევარში იგი უდრიდა 2.574 ათას ტონას, ხოლო 1934 წ. პირველ ნახევარში 2.543 ათას ტონას. ამგვარად, როგორც მძიმე, ისე მსუბუქი მრეწველობისა და მსოფლიო ვაჭრობის დარგში მრუდე ეშვება ქვევით, დეპრესია გრძელდება, გამოცოცხლების ნიშნები არ ჩანს.

*

ღრმავდება აგრარული კრიზისიც, რაც კიდევ უფრო გაამწვავა წელს მთელ რიგ კაპ. ქვეყნებში დიდმა მოუსავლიანობამ. სოფლის მეურნეობის დეგრადაციის პროცესი განსაკუთრებით თვალსაჩინოა უკანასკნელ წლებში, როცა მცირდება სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღების დონე, მინერალური სასუქების გამოყენება, იზრდება ნედლეულის მარაგი, ფასები კი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე კლებულობს. 1934 წ. 27 სექტემბრისათვის ლივერპულის ბაზარზე ბამბის მარაგი უდრიდა 1,024 კიპს (კიპი უდრის 218 კლგ.) 1934 წ. 30 აგვისტოს მარაგის—984 ათასი კიპის წინააღმდეგ. [illegible] მარაგი შეერთ. შტატებსა და კანადაში იმავე რიცხვებისათვის შეადგენდა 238,7 მილიონ ბუშელს (ბუშელი უდრის 27 კლგ.) და 224,1 მილიონ ბუშელს. სილატაკე, შიმშილი, ვალები, გადასახადები, იჯარა, უმიწობა—აი კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელი გლეხების ხვედრი.

★

მეურნეობის დაცემის ამ ფონზე, კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის წინააღმდეგობათა შემდგომი გამწვავების, მუშათა და გლეხთა მატერიალური მდგომარეობის უკიდურესი გაუარესების, ათეულ მილიონობით უმუშევრობის ფონზე, იზრდება მასებში რევოლუციური შეგნება, მწიფდება რევოლუციური სიტუაციის წინაპირობები.

საბჭოების დიდ ქვეყნის მაგალითზე, მილიონები ხედავენ თუ საიდან ამოდის კაცობრიობის განახლების მზე. და მილიონები იბრძვიან, რომ დაიცვან ახალი ომის რეალური საფრთხისაგან სოციალიზმის ციხე-სიმაგრე და საკუთარ ქვეყნებშიაც დაანთონ ოქტომბრის ცეცხლი.

კიდევ არის დრო ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად

საბჭოების არჩევნების ირგვლივ

საბჭოების გადარჩევის მოსამზადებელი პერიოდი უკვე დამთავრდა; დამთავრდა აგრეთვე ან მთავრდება საანგარიშო კამპანია; ხოლო ალაგ-ალაგ, სახელდობრ მთიან ადგილებში, დამთავრდა არა თუ მოსამზადებელი პერიოდი და საანგარიშო კამპანია, არამედ დამთავრდა ან მთავრდება საბჭოების არჩევნებიც.

სრული და დაზუსტებული ცნობები ჯერ ჩვენ არ გვაქვს. ჯერჯერობით ჩვენ მოგვეპოვება მხოლოდ არასრული, კანტიკუნტი ცნობები საბჭოების საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის მსვლელობის შესახებ, და ისიც არა ყველა რაიონებში. მაგრამ ეს ცნობებიც იძლევიან საკმარის მასალას მსჯელობისათვის იმაზე, თუ რამდენად დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს საბჭოების საარჩევნო კამპანია. თავისთავად იგულისხმება, რომ მიღებული მასალები საბჭოების არჩევნების მსვლელობის შესახებ ჩვენ აუცილებლად უნდა გა[illegible]ოთ ბევრ ადგილას და რამდენიმე შეიძლება ყოველგან, არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის გამოსასწორებლად, ვინაიდან ბევრ ნაკლოვანებების და დეფექტების გამოსასწორებლად არჩევნების დამთავრებამდე ჯერ კიდევ დრო გვაქვს.

რა ნაკლოვანებებს აქვს ადგილი საბჭოების არჩევნების მსვლელობაში? პირველ ყოვლისა, თვითკმაყოფილება ან და თავისი თავის დარწმუნება იმაში, რომ საანგარიშო-საგადარჩევო კამპანია მიმდინარეობს არა თუ დამაკმაყოფილებლად, არამედ მშვენივრადაც კი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე არჩევნების დროს კრებებზე ამომრჩევლების დასწრება რამდენიმე პროცენტით მეტია, ვინემ წარსულ არჩევნებზე იყო. ამხანაგები ფიქრობენ, რომ თუ წარსულ არჩევნებზე დამსწრეთა რიცხვს წელს ემატება 5 ან 10 პროც., ეს უკვე დიდი წარმატებაა და შეიძლება ამაზე გაჩერდეთ. ივიწყებენ იმას, რომ წარსული არჩევნების შემდეგ მუშების, კოლმეურნეების და საერთოდ მშრომელი მასების აქტიობა ჩვენში გაიზარდა არა 5 ან 10 პროცენტით, არამედ მთელი 100 პროც.; უამისოდ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ის უდიდესი წარმატებები და გამარჯვებები, რომლებიც ჩვენ მოვიპოვეთ როგორც სოციალისტურ სახალხო მეურნეობაში, ისე კულტურულ ფარგლებშიაც. ამიტომ დღევანდელ არჩევნების დროს ჩვენ არ დაგვაკმაყოფილებს ამომრჩევლების დასწრების არც 70 პროც. ა არც 80 პროც.-იც კი, მთელი საქართველოს მასშტაბით ის პროც. უნდა გამო[illegible] არა ნაკლებ 90 პროც., თუ კიდევ მეტი არა. აქ ჩვენ ვღებულობთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ მთაგორიან ადგილებში (თუშეთ-ხევსურეთი, მთა-თუშეთი, ზემო და ქვემო სვანეთი, ხული) და ზოგიერთ შედარებით უფრო ჩამორჩენილ რაიონებში ამომრჩეველთა დასწრების პროცენტი უთუოდ ბევრად უფრო ნაკლები იქნება, მაგრამ საერთო ჯამით მთელ საქართველოში ეს პროც. უნდა დარჩეს, როგორც ზევით იყო ნათქვამი, არა ნაკლებ 90 პროც., თუ ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი რესპუბლიკა მოხდეს მოწინავე რესპუბლიკების რიგებში. ჩვენ წინედაც ვამბობდით და ახლაც ვიმეორებთ, რომ ეს ადვილი ამოცანა არაა, მით უმეტეს, რომ ამომრჩევლებზე კრებებზე გამოცხადების მიზნით რაიმე ძალდატანების ხმარება ყოვლად დაუშვებელია და ეს შეფასებული იქნება როგორც დანაშაული. ამომრჩევლების 100 პროც.-იანი გამოცხადება საარჩევნო კრებებზე იქნება **შედეგი იმ მასობრივ-საორგანიზაციო მუშაობისა**, რომელიც უნდა ჩატარდეს კრებამდე. იმედი, რომ ასპროცენტიანი გამოცხადება მოხდება **თავისთავად ან ძალდატანებით**, უნდა სრულიად უკუვაგდოთ და დავეყრდნოთ მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ **საკუთარ ორგანიზატორულ მუშაობას ამომრჩევლებში**. იტყვიან, ამისათვის დრო აღარ არისო. არაა სავსებით მართალი. რა თქმა უნდა, ბევრი დრო აღარ დაგვრჩა, მაგრამ ცოტა დრო კიდევ არის, რაც უკლებლად უნდა გამოვიყენოთ ზევით დასახელებულ მიზნისათვის.

მოსახლეობის ასი პროცენტით გამოცხადებასთან საარჩევნო კრებებზე მჭიდროდ დაკავშირებულია **მშრომელ ქალების ასი პროცენტით გამოცხადებაც**. თავისთავად იგულისხმება, რომ ეს კიდევ უფრო რთული და ძნელი საკითხია. მიუხედავად ამისა, ეს საკითხიც უნდა იქნას გადაჭრილი ისე, როგორც ამას თხოულობს პარტია და საბჭოთა ხელისუფლება. ფაქტია, რომ ჩვენ განკარგულებაში არსებულ ცნობით მშრომელ ქალების დასწრება საანგარიშო კრებებზე, სადაც ეს კრებები ჩატარდა, გაცილებით უფრო სუსტია, ვინემ მამაკაცების. ჩვეულებრივად აქაც ზოგიერთი ამხანაგები თავს იმით ინუგეშებენ, რომ წარსულ არჩევნებთან შედარებით წელს ქალების დასწრების პროცენტმაც რამდენიმედ იმატა. ასეთი ნუგეში არ ვარგა. ჩვენ ვამბობთ: ქალების საბჭოებში ჩაბმისათვის **გარდატეხაა საჭირო**, უამისოდ ჩვენ ვერ შევძლებთ პარტიის და ხელისუფლების დირექტივების შესრულებას, და ეს კი ჩვენ რესპუბლიკას უკან გადაისვრის. ამას ჩვენ ვერ წავალთ. ასე დგას საკითხი.

ამისათვის შეიძლება ადგილობრივად ამხანაგებმა მიმართონ სხვადასხვა საშუალებებს, როგორიც, მაგ., საარჩევნო კრებამდე მოახდინონ ქალების ცალკე კრებები, სადაც უნდა განუმარტონ მუშა და კოლმეურნე ქალებს და საერთოდ მშრომელ ქალებს, რომ იმათ უნდა მიიღონ საბჭოების მუშაობაში აქტიური მონაწილეობა, რომ საჭიროა საბჭოებში აქტიურ ქალების არჩევა, ამისათვის კი საჭიროა იმათი დასწრება საარჩევნო კრებებზე. ამ კრებებზე, ქალების დასწრების გასაადვილებლად მიზანშეწონილი იქნება ჩვილ **ბავშვებისათვის დროებითი ბაგების მოწყობა**, რასაც ზოგიერთ რაიონებში კიდევაც ანხორციელებენ. წინდაწინვე შეიძლება იმის თქმა, რომ ეს დიდ ხარჯს არ გამოიწვევს.

ყოველგვარი ასეთი ღონისძიების განხორციელება აუცილებლად **თხოულობს ყველა ორგანიზაციების მჭიდრო მონაწილეობას საბჭოთა არჩევნების კამპანიაში**. ეს მონაწილეობა [illegible] გათვალისწინებულია სათანადო უმაღლეს ორგანოების დადგენილებებით და აგრეთვე ინსტრუქციითაც. ამ[illegible] ცალკეულ რაიონების შემოწმება და აგრეთვე ცაკში მიღებული მასალები საბჭოების საარჩევნო კამპანიის მსვლელობის შესახებ გვეუბნებიან, რომ არა ყველა ორგანიზაცია ასრულებს ამ მითითებებს და დირექტივებს. კერძოდ ამ მასალებიდან ჩანს, რომ **პროფორგანიზაციები და აგრეთვე კომკავშირული ორგანიზაციები ჯერ არ დაძრულან საბჭოების არჩევნების კამპანიაში** აქტიური მონაწილეობის მისაღებად. ეს ფაქტი დაადასტურეს ადგილობრივმა პასუხისმგებელ ამხანაგებმა სწორედ ამ დღეებში ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომაზე. ეს მეტად არა სასიამოვნო გარემოებაა ვფიქრობთ, რომ დარჩენილ დროის განმავლობაში, დასახელებულ ორგანიზაციებმა ეს დიდი ნაკლი აუცილებლად უნდა გამოასწორონ, და ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ გამოასწორებენ კიდეც.

ასევე უნდა ვთქვათ **პრესის შესახებაც**, განსაკუთრებით **ცენტრალურ გაზეთებზე**. კერძოდ საჭიროა, რომ „კომუნისტმა" გაცილებით მეტი ყურადღება მიაქციოს საბჭოების არჩევნების კამპანიას.

ასეთია საერთოდ საბჭოთა არჩევნების კამპანიის მსვლელობა საქართველოში. დადებით მხარეებზე და მიღწევებზე ჯერ სრულიად უადგილო იქნებოდა დასკვნების გამოტანა. რაც შეეხება ნაკლოვანებებს და დეფექტებს, ასეთები ჯერ კიდევ ბევრია, ჩვენ აქ დავასახელით მხოლოდ უმთავრესი იმათგანი. რა თქმა უნდა, იმათი რიცხვი გაცილებით მეტია. ამ წერილის მიზანია, ერთხელ კიდევ მიექცეს ადგილობრივ ამხანაგების ყურადღება ამ უდიდესი პოლიტიკური კამპანიის ბრწყინვალედ ჩატარებას, და აქ არავითარი „თავბრუდახვევას", თითქო უკვე გვაქვს საკმარისი მიღწევები ამ საქმეში, ადგილი არ უნდა დაურჩეს.

ფ. მახარაძე.

მთლიანი პროლეტარული ფრონტი და საბჭ. კავშ. ძლიერება

კაპიტალისტური ქვეყნების მუშები იწყებენ იმის გაგებას, რომ სულ უფრო და უფრო საჭიროა თავისი ძალების შემჭიდროება კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ საბრძოლველად, ფაშიზმის, ომის საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, ავსტრიაში, ესპანეთში სოციალ-დემოკრატმა მუშებმა ხელი გაუწოდეს კომუნისტ მუშებს და შეერთებული ძალით, შეიარაღებული ბრძოლაც კი გაჩაღეს შემოტევაზე გადმოსული ფაშისტური რეაქციის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირის ნამდვილი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულით გაჟღენთილ მუშათა კლასს ახარებს ეს წარმატებანი ევროპის მუშათა კლასისა, რომელიც თავის მთლიანობას პოულობს რევოლუციური ბრძოლის გზებზე. კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა მთლიანი ფრონტი ფაშიზმის, ომის საფრთხის წინააღმდეგ, წარმოადგენს სოციალისტური საზოგადოებისათვის იმ გრანდიოზული ბრძოლის დახმარებას, რომელშიაც საბჭოთა კავშირის მშრომელებმა ბოლშევიკების პარტიის, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით უკვე მოიპოვეს მთელი რიგი უდიდესი ისტორიული გამარჯვებანი. და მართლაც, ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ამავე დროს არის ბრძოლა საბჭოთა კავშირის დასაცავად. ფაშიზმი, რომელმაც დროებით გაიმარჯვა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, წარმოადგენს ომის საფრთხის უშუალო მატარებელს. ფაშიზმი, როგორც ბურჟუაზიის ყველაზე უფრო იმპერიალისტური შოვინისტური ელემენტების წარმომადგენელი, ცდილობს ველური ნაციონალისტური რასიული პროპაგანდის მეშვეობით აამხედროს ერთი ხალხი მეორის წინააღმდეგ, დაანთოს მსოფლიო ომის ხანძარი, ვინაიდან ბურჟუაზიას იმედი აქვს, რომ ახალ ომში იპოვის კრიზისიდან გამოსავალს, იხსნის მოცემულ ქვეყნებს მოახლოებული რევოლუციური მოძრაობისაგან,—იგი აგრეთვე ცდილობს გააერთიანოს ბურჟუაზიული მსოფლიოს ყველა რეაქციული ძალები მსოფლიო პროლეტარიატის ავანგარდზე—საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად. კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასის მთლიანი ფრონტი ფაშიზმის წინააღმდეგ არის საბჭოთა კავშირისათვის ნამდვილი მხარის დაჭერა, საერთაშორისო პროლეტარიატის ბრძოლა მთლიანი ფრონტისათვის, ომის საფრთხის წინააღმდეგ არის მხარის დაჭერა მშვიდობიანობის იმ პოლიტიკისათვის, რომელსაც განუხრელად აწარმოებს საბჭოთა კავშირი. საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარის ზრდა წარმოადგენს ისეთ ფაქტორს, რომელიც აღფრთოვანებს ყველა ქვეყნის მშრომელებს ახალი იმპერიალისტური ომის მოქარის წინააღმდეგ საბრძოლველად. საბჭოთა კავშირის მშრომელთა უდიდესი გამარჯვებანი სოციალიზმის აშენების საქმეში სულ უფრო და უფრო არწმუნებენ ექსპლოატირებულ მშრომელთა მილიონებს მთელ მსოფლიოში რომ საბჭოთა კავშირი წარმოადგენს სოციალიზმის დასაყრდენს, პროლეტარული რევოლუციის დასაყრდენს, ყველა ქვეყნის მშრომელთა სოციალისტურ სამშობლოს. ჩაგრულ მშრომელთა მილიონები მთელ მსოფლიოში მზად არიან საკუთარი მკერდით დაიცვან საბჭოთა კავშირი, მეორე მხრით საბჭოთა კავშირის ძლიერების ზრდა, სოციალისტური მრეწველობის განვითარება, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების განმტკიცება, დიადი, წითელი არმიის ბრძოლისუნარის გადიდება მთელი მსოფლიოს მშრომელთა გულში ამტკიცებენ სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების რწმენას, შთააგონებენ მიბაძონ საბჭოთა კავშირის მშრომელთა მაგალითს, და საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი ოქტომბრის რევოლუციის 17 წლისთავზე ტყუილად როდი მიმართავს კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარებს ლოზუნგით: „ყველა ქვეყნის მუშებო და მუშა ქალებო! გააფართოვეთ და განამტკიცეთ ფაშიზმის წინააღმდეგ, კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მთლიანი ფრონტი. შეამჭიდროვეთ თქვენი რიგები კომუნისტური ინტერნაციონალის გარშემო".

გ. დიმიტროვი.

ტელეფონით მოსკოვიდან.

სოციალიზმის ზრდა

განსაკუთრებით თვალსაჩინოა მსოფლიო კაპიტალიზმის საერთო დაცემის და გახრწნის ფონზე. ოქტომბრის მე-17 წელი, ისე როგორც წინა წლები, იყო სახალხო მეურნეობის და კულტურის დარგში დიდი აღმავლობის წელი.

წარმოების ახალი დარგებით (დაზგათმშენებლობა, საავტომობილო მრეწველობა; ქიმიური მრეწველობა; მოტორთ-მშენებლობა თვითმფრინავების, კომბაინების მძლავრი ტურბინებისა და გენერატორების მშენებლობა, ფეროშენადნობი, სინთეტური კაუჩუკი; აზოტი და მრ. სხვ.) გამდიდრდა საბჭოების დიდი ქვეყანა. 225 ათასი კოლმეურნეობა. 5 ათასზე მეტი საბჭოთა მეურნეობა, 240 ათასამდე ტრაქტორი. 10 ათასამდე კომბაინი, საკოლმეურნეო მინდვრების დიდი მოსავალი, ხვავით და ბარაქით სავსე შრომადღე, კოლმეურნეთა შეძლებული და კულტურული ცხოვრება—აი რით მოვიდა სოფელი ოქტომბრის 17 წლის თავზე.

საბჭოთა კავშირი გადაიქცა მსოფლიოში მოწინავე სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ქვეყნად. რიტმიულად ხმაურობენ ჩვენი გიგანტების მანქანები ციმბირის ტაიგებში და ურალის ქედს აქეთ, პოლარულ წრეს გადაღმა, და შავი ზღვის ნაპირებზე. ხარკოვის, სტალინგრადის, მოსკოვის, იაროსლავის, გორკის სატრაქტორო და საავტომობილო ქარხნები ახლა მუშაობენ სრული სისწრაფით. საბჭოთა მარტენებსა და ბრძმედებში ახლა დღეღამეში დნება 81,5 ათასი ტონა თუჯი და 80 ათასი ტონა ფოლადი. ეს პირველ ადგილს [illegible] და ფოლადის მსოფლიო წარმოებაში. დღეღამეში ჩვენი მაღაროებიდან ამოაქვთ 275 ათასამდე ტონა ქვანახშირი, ჩვენი ჭაბურღილებიდან სცემს 80 ათას ტონამდე ნავთი, ჩვენს რკინიგზებზე იტვირთება 59 ათასამდე ვაგონი, ჩვენი თვითმფრინავები განუწყვეტლივ ფრენენ 74 საათს, ჩვენი მეზღვაურები და პოლარელები ვაჟკაცურად ებრძვიან არქტიკას და ეუფლებიან ჩრდილოეთის საზღვაო გზას.

★

სოციალისტური მრეწველობა წარმატებით ასრულებს მეორე ხუთწლედის მეორე წლის გეგმას. მძიმე ინდუსტრიის წლიური გეგმა 9 თვეში შესრულდა 78,1 პროც. 10 თვეში ქვანახშირის ამოღების წლიური გეგმა შესრულდა 70,7 პროც., 9 თვეში ელექტროენერგიის გამომუშავების გეგმა შესრულდა 75,4 პროც., თუჯის გამოდნობის 76 პროც. ტრაქტორების წარმოების — 72,9 პროც. (9 თვეში საბჭოთა ქარხნებმა გამოუშვეს 69.224 ტრაქტორი) და ავტომობილების —68,2 პროც. (9 თვეში 39.614 სატვირთო და 12.627 სამგზავრო ავტომობილი). წელს ამუშავდა უდიდესი გიგანტები: კრამატორსკის მანქანათმშენებელი ქარხანა, ახალი მაღარო ქვანახშირისა, ბობრიკის ქიმკომბინატი და სხვ.

★

იზრდება მუშათა და გლეხთა კეთილდღეობა. სახალხო შემოსავალი 29 მილიარდიდან (1929 წ.) გაიზარდა 50 მილიარდამდე (1933 წ.). მეორე ხუთწლედის ბოლოს კი იგი 100 მილიარდს მიაღწევს. „ექსპლოატაციის მოსპობა, უმუშევრობის მოსპობა ქალაქად, სილატაკის მოსპობა სოფლად—ეს ისეთი ისტორიული მიღწევებია მშრომელთა მატერიალურ მდგომარეობაში, რომელზედაც ოცნებაც კი არ შეუძლიათ ყველაზე უფრო „დემოკრატიულ" ბურჟუაზიულ ქვეყნის მუშებს და გლეხებს" (სტალინი).

ემ. იაროსლავსკი

დიადი წლისთავი

„რამდენადაც უფრო გვშორდება ჩვენ ეს დიადი დღე, მით უფრო ნათელი ხდება რუსეთში პროლეტარული რევოლუციის მნიშვნელობა, მით უფრო ღრმად ვუფიქრდებით ჩვენი მუშაობის პრაქტიკულ გამოცდილებას, მთლიანად აღებულს".

(ლენინი, თხზ. კრებ. ტომი 27, გვ. 24).

ოქტომბრის რევოლუციით დაიწყო ახალი ეპოქა, საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციის ეპოქა.

„დაე, გააფთრებით აგინონ ამ რევოლუციას ბურჟუაზიამ და პაციფისტებმა, გენერლებმა და მეშჩანებმა, კაპიტალისტებმა და ფილისტერებმა, ყველა მორწმუნე ქრისტიანმა და მეII და II½ ინტერნაციონალის ყველა რაინდმა,— წერდა ლენინი 13 წლის წინათ. გაბოროტების, ცილისწამების და სიცრუის ვერავითარი ნაკადით ვერ მიჩქმალავენ ისინი იმ მსოფლიო-ისტორიულ ფაქტს, რომ საუკუნეების და ათას წლების განმავლობაში მონათმფლობელთა შორის გაჩაღებულ ომს მონებმა პირველად უპასუხეს ლოზუნგით: გადავაქციოთ ეს ომი, რომელიც წარმოებს მონათმფლობელებს შორის მათი ნადავლის გასაყოფად, ყველა ნაციის მონების ომად ყველა ნაციის მონათმფლობელთა წინააღმდეგ.

საუკუნეების და ათას წლების განმავლობაში ეს ლოზუნგი ბუნდოვანი და უძლური მოლოდინიდან პირველად გადაიქცა ნათელ გარკვეულ პოლიტიკურ პროგრამად, ჩაგრულთა მილიონების ნამდვილ ბრძოლად პროლეტარიატის ხელმძღვანელობით, გადაიქცა პროლეტარიატის პირველ გამარჯვებად, ომების მოსპობის საქმის გამარჯვებად, ყველა ქვეყნის მუშათა კავშირის სხვადასხვა ნაციის ბურჟუაზიის კავშირზე გამარჯვებად, იმ ბურჟუაზიისა, რომელიც ზავსაც კრავს და ომობს კიდეც კაპიტალის მონების ხარჯზე, დაქირავებული მუშების ხარჯზე, გლეხების ხარჯზე, მშრომელთა ხარჯზე" (ლენინი, თხზ. ტომი 27, გვ. 28);

პროლეტარული სახელმწიფო, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში პირველად წარმოიშვა, 17 წლის მანძილზე მთელი მსოფლიოს წინაშე ახდენს იმ ბრძოლის ნიმუშების დემონსტრაციას, რომელსაც იგი აწარმოებს ადამიანთა საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნის უდიდესი პროგრამის განსახორციელებლად.

წინათ ჩამორჩენილი ქვეყანა, ის ქვეყანა, რომელმაც იმპერიალისტური და სამოქალაქო ომების შემდეგ უდიდესი ნგრევა განიცადა, მთელი სიგრძე-სიგანით გაიმართა წელში და გიგანტური ნაბიჯებით მიდის წინ სოციალიზმის მშენებლობის გზით, უკლასო სოციალისტური საზოგადოების შექმნის გზით, მშრომელთა მილიონიანმა მასებმა ისწავლეს სახელმწიფოს მართვა-გამგეობა თავისი დიდი სამშობლოს საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესების შეგნება. ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, გენიალური ბელადების—ლენინის და სტალინის — ხელმძღვანელობით მათ უმაღლეს სიმაღლეზე აიყვანეს საბჭოთა კავშირის მეურნეობა და კულტურა.

საბჭოთა კავშირი, რომელიც ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ წარმოადგენდა აგრარულ ქვეყანას შედარებით სუსტად განვითარებული მრეწველობით გადაიქცა ინდუსტრიალურ ქვეყნად მძლავრი სოციალისტური მრეწველობით, რომელიც მოწინავე ტექნიკითაა შეიარაღებული.

ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენ იძულებული ვიყავით გამოგვეწერა საზღვარგარეთიდან ჩვენი ქარხნების მანქანები და მოწყობილობა დაწყებული ბურთობსაკისურით, გათავებული ბრძმედებისა და მარტენებისათვის საჭირო მოწყობილობით. ხოლო რას ვხედავთ ახლა? ურალის მანქანათმშენებელმა ქარხანამ, კრამატორსკის მანქანათმშენებელმა ქარხანამ, გორკის და მოსკოვის საავტომობილო ქარხნებმა, ხარკოვის, სტალინგრადის და ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხნებმა, „შარიკოპოდშიპნიკმა", „ფრეზერმა" და „კალიბრმა" მოსკოვში, ხარისხოვანი ფოლადის, ალუმინის და მაგნიუმის ქარხნებმა, სინთეტიური კაუჩუკის, კალიუმის მარილების; აზოტის და სხვ. ქარხნებმა უზრუნველყვეს საბჭოთა კავშირის ეკონომიური დამოუკიდებლობა საზღვარგარეთისაგან. ახლა ჩვენ ყოველგვარი მანქანების დამზადება შეგვიძლია ჩვენს ქარხნებში, ჩვენ შეგვიძლია მოვაწყოთ ყველა ქარხანა საბჭოთა მანქანებით. ჯერ კიდევ ამას წინათ ბლიუმინგი ჩვენთვის უჩვეულო რამ იყო, ხოლო ახლა კრამატორსკის მანქანათმშენებელ ქარხანას შეუძლია ყოველწლიურად აწარმოოს სამი ბლიუმინგი.

საბჭოთა კავშირის თვალუწვდენელ სივრცეზე გადაჭიმულია კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მინდვრები. ის ქვეყანა, რომლის სოფლის მეურნეობაში ჯერ კიდევ ამას წინათ გაბატონებული იყო ხის კავი, გადაიქცა სოციალისტური მიწათმოქმედების. მსოფლიოში ყველაზე უფრო მსხვილი მიწათმოქმედების ქვეყნად. სოციალისტურ მიწათმოქმედებას მომსახურებას უწევენ ათასობით ტრაქტორები და კომბაინები.

გიგანტურად გაიზარდა ელექტროსადგურების ქსელი, ნაგებობანი, რომლებიც ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ ჩვენს ძალას აღემატებოდა, ახლა ზღაპრული სისწრაფით შენდება.

მოსკოვი ამთავრებს მეტროს პირველი რიგის მშენებლობას, პარტიის ცენტრალური კომიტეტის და ამხ. სტალინის ინიციატივამ, ამხ. კაგანოვიჩის უშუალო ოპერატიულმა ხელმძღვანელობამ ჩვენი ქალაქების გარდაქმნის საქმეში უზრუნველყო საგრძნობი წარმატებები ამ მიმართულებით, ჩვენი ქვეყნის ქალაქები იცვლიან თავის სახეს ხდება მათი განახლება მათი ქუჩები მწვანით იმოსება, უბადრუკი ქოხმახების ადგილზე შენდება მუშათა უბნები საუცხოვო ახალი სახლები, კულტურის პარკები სტადიონები, სანატორიუმები, სკოლები.

დიდი სახელი მოიხვეჭა საბჭოთა კავშირმა. ჩვენი მტრებიც კი, რომლებიც ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ საბჭოთა კავშირს ჩამორჩენილ და ღარიბ ქვეყნად სთვლიდნენ, ახლა იძულებული არიან აღიარონ მისი უმაღლესი ძლიერება.

17 წლის მანძილზე რადიკალურად შეიცვალა საბჭოების ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობა. საბჭოთა კავშირის აშკარა მტრებიც კი იძულებული არიან აღიარონ მისი უზადლო ძლიერება.

საბჭოთა კავშირის წითელი არმია, საზღვაო და საჰაერო ფლოტი წარმოადგენენ უძლეველ ძალას სწორედ იმიტომ, რომ, ისინი გამოზარდა რევოლუციამ, რომ მათ შესისხლხორცებული აქვს გამარჯვების რევოლუციური რწმენა, პოლიტიკური შეგნებულობა და მიზანსწრაფვა. წითელი არმია არის მსოფლიოში პირველი არმია, რომელიც იცავს პროლეტარული რევოლუციის ინტერესებს. იგი უძლეველ ძალად დაიქცა იმიტომ, რომ ჩვენმა ქვეყანამ შექმნა მძლავრი ტექნიკა—სამანქანათმშენებლო, საავიაციო და ქიმიური მრეწველობა.

ახალი იმპერიალისტური ომის საფრთხის წინაშე, რომელიც მთელს მსოფლიოს ემუქრება,—საბჭოთა კავშირი ამტკიცებს თავის თავდაცვის უნარს და მზად არის ყოველ წუთში გამაანადგურებელი წინააღმდეგობა გაუწიოს ყველა იმას, ვინც შეეცდება თავს დაესხას მას.

მაგრამ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა განმტკიცდა არა მარტო იმიტომ, რომ გაიზარდა მისი ძლიერება და თავდაცვის უნარი. 17 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირი გადაიქცა საერთაშორისო მშვიდობიანობის უდიდეს ფაქტორად. კაპიტალისტური სახელმწიფოები, რომლებსაც ღრღნიან შინაგანი წინააღმდეგობანი, იძულებული არიან აღიარონ ეს ფაქტი ათეული მცირე სახელმწიფო რომლებსაც მუდამ საფრთხე მოელის, რომ მათ რომელიმე დიდი იმპერიალისტური სახელმწიფო გასრესს, საბჭოთა კავშირში ხედავენ მშვიდობიანობის საიმედო დასაყრდენს. და მთელ რიგ დიდ კაპიტალისტურ სახელმწიფოებსაც კი, რომლებიც ამჟამად არ არიან დაინტერესებული ომით, არ შეუძლიათ არ შეაფასონ საბჭოთა კავშირის განუწყვეტელი ბრძოლა მშვიდობიანობისათვის.

აი რითი აიხსნება ის გარემოება, რომ პროლეტარული რევოლუციის 17 წლისთავზე ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფომ ხმა მისცა საბჭოთა კავშირის მიღებას ერთა ლიგაში. აი რით აიხსნება საბჭოთა კავშირის გაზრდილი, განმტკიცებული როლი მთელი მსოფლიოს ხალხებს შორის.

ჩვენს ქვეყანას აღფრთოვანებით და იმედით შესცქერიან მთელი მსოფლიოს მშრომელთა და ჩაგრულთა მილიონები.

და მართლაც,—განა სხვა რომელიმე ქვეყანაში წარმოსადგენია იქ მოსახლე ერების კულტურული და შემოქმედებითი ძალების ასეთი განვითარება? განა კიდევ არის სადმე ისეთი ქვეყანა, სადაც შესაძლებელი იყოს კულტურის ისეთი სწრაფი ზრდა მოსახლეობის შორის, როგორიც ჩვენ საბჭოთა კავშირში გვაქვს? განა კიდევ მოიპოვება ისეთი ქვეყანა, რომელიც უზრუნველყოფდეს თვითეულ მშრომელს სამუშაოთი, განათლების მიღების შესაძლებლობით სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მონაწილეობის მიღებით? განა სხვა რომელიმე ქვეყანაში მუშა და გლეხ ქალთა მილიონებს შეუძლიათ მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ასეთი მონაწილეობა? განა სხვაგან სადმე, გარდა საბჭოთა კავშირისა, სახელმწიფო ხარჯავს ამდენ სახსრებს მშრომელთა ჯანმრთელობასა, ჯანსაღი ახალგაზრდა თაობის აღზრდაზე, სკოლებსა, დასასვენებელ სახლებზე?

ჯერ კიდევ არ არის სხვა ისეთი ქვეყანა, როგორიც ჩვენი ქვეყანაა და ისეთ გიგანტურ წარმატებებს. როგორსაც საბჭოთა კავშირმა მიაღწია, ვერ მიაღწევს ვერც ერთი სხვა სახელმწიფო მსოფლიოში, თუ იქ არ გაიმარჯვა პროლეტარულმა რევოლუციამ, თუ არ გაიმარჯვა პროლეტარიატის დიქტატურამ.

★

ჩვიდმეტი წელია, რაც მსოფლიოში იბრძვის ორი სისტემა. ერთი მათგანია—სისტემა ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური სახელმწიფოებისა, რომლებსაც დღესაც ხელში უპყრიათ დედამიწის ხუთი მეექვსედი ნაწილი; ეს სისტემა სძულთ მუშათა, გლეხთა და მშრომელთა მილიონიან მასებს, რომელთა სისხლით და ოფლით ცხოვრობენ ექსპლოატატორები, მსოფლიოს ხალხთა სხეულის პარაზიტები. ეს სისტემა ყოველი მხრით იროღვევა, მას ანგრევენ მის მიერ წარმოშობილი წინააღმდეგობანი. მრავალი წლის მძიმე კრიზისის კლანჭებში სულს ღაფავენ მილიონიანი მასები, რომელთა საარსებო დონეზე იერიში მიაქვთ კაპიტალისტებს. ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმს უკვე არ შეუძლია უზრუნველყოს ხელისუფლება კაპიტალისტებისათვის, მთელ რიგ ქვეყნებში ბურჟუაზია გადადის „თავისი დიქტატურის შენარჩუნების აშკარა ტერორისტულ მეთოდებზე". (სტალინი). ხდება მთავრობის აპარატის ფაშიზაცია.

ფაშიზმის დახმარებით ბურჟუაზია ცდილობს ბორკილი დაადგას მილიონიან მასებს, დათრგუნოს მისი მზარდი პროტესტი საუკუნობრივი ჩაგვრის წინააღმდეგ.

კაპიტალისტურ სისტემას უპირისპირდება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სისტემა, რომელიც 17 წლის წინად წარმოიშვა. იგი სავსეა რევოლუციის მიერ გაღვიძებული და შექმნილი სიცოცხლით ძალებით. პროლეტარული რევოლუციის მე-17 წელი განსაკუთრებით მდიდარი იყო გამარჯვებებით სამეურნეო და კულტურულ ფრონტებზე, სოციალიზმის ქვეყნის ცხოვრების ყველა დარგში.

კაპიტალის ქვეყნებში—როგორც ამხ. სტალინმა აღნიშნა საკ. კ.პ. (ბ) მე-17 ყრილობაზე — მასების შეგნებაში მწიფდება იერიშის იდეა ის იდეა, რომ კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ იერიში უნდა იქნას მიტანილი, ჯერ კიდევ არასოდეს არ დაუფლებია მასებს ისე, როგორც ახლა. რაც უფრო ძლიერ თარეშობს ფაშიზმი, რამდენადაც უფრო გააფთრებული ხდება ბურჟუაზიის შეტევა მუშათა კლასის წინააღმდეგ, მით უფრო ნათლად გრძნობენ მთელი მსოფლიოს მშრომელი მასები, რომ კაპიტალისტური ჩაგვრისაგან განთავისუფლების გზა —ეს არის ის გზა, რომლითაც წავიდნენ მეფის რუსეთის მუშები, გლეხები და მშრომელები, რომ ეს არის სოციალისტური რევოლუციის გზა, ოქტომბრის გზა.



მრეწველობის სახლი წითელ მოედანზე მოსკოვში ძმ. ვესნინების პროექტით.

საბჭოთა კავშირის მარგალიტი

ამიერ-კავკასია, რომელიც წარმოადგენდა მეფის რუსეთის კოლონიურ-ყაჩაღური ექსპლოატაციის ობიექტს, უკვე გადაიქცა ინდუსტრიალურ-აგრარულ ქვეყნად, და ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით მიემართება წინ, აყვავების და გამარჯვების ნაცადი გზით.

იზრდება მხარის ენერგეტული ბაზა, თუ 1913 წ. ა.-კ. ყველა ელსადგურის სიმძლავრე 60 ათასი კილოვატი იყო, 1933 წლის დასასრულს მან 289 ათას კილოვატს მიაღწია. აშენდა: ზაჰესი, რიონჰესი, ძორაჰესი და სხვ. მრავალი ელსადგური.

★

ჩატარდა ბაქოს ნავთის მრეწველობის საფუძვლიანი რეკონსტრუქცია; პირველი ხუთწლედის გეგმა ბაქოს მუშებმა შეასრულეს ორნახევარ წელში. მეორე ხუთწლედის პირველ წელს მათ მისცეს ქვეყანას 15.325 ათასი ტონა ნავთი. წელს ისინი იძლევიან 19 მილიონ ტონას. დღეღამეში 55 ათასი ტონა ნავთს იძლევა ბაქოს ჭაბურღილები.

★

შეიქმნა ახალი დარგები: მანქანათმშენებელი მრეწველობა (26 კომუნარის, კალინინის და ორჯონიკიძის სახ. ბათომის ჩაის მოწყობილობის ქარხნები და სხვ., სადაც მზადდება მანქანები მეღვინეობის, საფეიქრო მრეწველობისა და ნავთის წარმოებისათვის); აშენდა მძიმე ინდუსტრიის გიგანტი ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხანა, კარაკლისის ქიმკომბინატი, ბათომის ნავთის გადამამუშავებელი ქარხნები და ბუნებრივი სალებავების ქარხანა, ბაზალტის გამომდნობი ქარხანა ერევანში, საამშენებლო მასალების ქარხნები და მრავალი სხვა.

★

სწრაფად ვითარდება მსუბუქი და კვების მრეწველობაც: განჯის და ლენინაკანის საქსოვი ფაბრიკები, ტფილისის აბრეშუმის და მაუდის ფაბრიკები, ბაქოს აბრეშუმის და საქსოვი, ქუთაისის მაუდის და ძაფსალები, ერევნის, გორის, ქუთაისის საკონსერვო, აგარის შაქრის ტფილისის მარგარინის ქარხნები—აი პირველი და მეორე ხუთწლედის პირმშო ამიერ-კავკასიაში.

★

საბჭოთა ხელისუფლების დროს დაიწყო ა.-კ. სოფლის მეურნეობის ნამდვილი აღმავლობა. იზრდება კოლმეურნეობათა ძალა და ავტორიტეტი. მშრომელი გლეხობის თვალსაჩინო ნაწილი (48,1 პროც.) რვა ათასამდე კოლმეურნეობაში დარაზმული ქმნის შეძლებულ და კულტურულ ცხოვრებას მხარეში მოქმედობს 88 სამანქანო-სატრაქტორო სადგური 2441 ტრაქტორით. ა.-კ. გადაიქცა მებამბეობის მეორე ბაზად საბჭოთა კავშირში. 219 ათას ჰექ. გადაჭიმული ბამბის ნათესები, 34 ათას ჰექტარზე კი ჩაის პლანტაციები. თამბაქოს, რამის, სუბტროპიკებისა და ციტრუსების პლანტაციები ჰყვავის და ფართოვდება სწრაფი ტემპებით.

ციტრუსოვანთა ნარგავები ამჟამად ხარობენ ერთნახევარ მილიონს. აქედან მარტო წელს დაირგო 219 ათასი ძირი. მარტო საქართველოში ციტრუსების ნარგავები ფარავს 2635 ჰექტარს. აღმავლობის გზას ადგება აქამდე ჩამორჩენილი დარგი —მეცხოველეობაც. მსხვილი რქოსანი საქონლის რიცხვი ა.-კ.-ში უკანასკნელ ერთ წელში გაიზარდა 3.164.700-დან 3.414.900-მდე, ღორების რიცხვი კი 376.400 დან 652.960-მდე (73 პროც.).

ბ. ქუჩიშვილი

მეჩვიდმეტე იალონი

გაიღვიძეთ! ჰაუ, ვინ ხართ მძინარე!
შევეგებოთ პირმცინარე იალონს!
ქურებისკენ, ხალხის დიდო მდინარევ!
მზეს მადლობა, ცამ დროშებით იალოს!

ვინ მოსთვალოს, რაც კი ასაწერია,
ვინ გადილოს ფერადებით ტილოზე?!
ყველაფერი ახლად ასამღერია
მოგრიალე ინდუსტრიის კილოზე!

პოეტებო! სულის ინჟინერებო!
შეხვდით მასებს აღტაცების მარაგით!
გრძნობის ცეცხლში ნაშობო სიმღერებო,
ქუხდეთ, როგორც მთით მომსკდარი
არაგვი!

გაუმარჯოს წინსვლას, ახალ დროებას!
გაუმარჯოს კომუნიზმის შენებას!
ვაშა ხალხთა ძმობის უსაზღვროებას
და მსოფლიო-ოქტომბრის გათენებას!

ოქტომბრის ადამიანები

მჭედლიდან საამქროს გამგემდე

...თითქმის მთელი ღამე გრძელდებოდა კრება. ბოლოს გადაწყდა ხვალ სამუშაოდ არ გამოვიდნენ, თავი მოიყარონ ალექსანდროვის ბაღში და სხვა ქარხნების მუშებთან ერთად საპროტესტო დემონსტრაცია მოაწყონ რუსეთის რევოლუციურ პროლეტარიატისაგან ჩამოშორების წინააღმდეგ.

1918 წლის 10 თებერვალი მზიანი დღე გათენდა. სუსხიანი ზამთრით ფრთებჩამოყრილმა ბუნებამ თითქოს გამოიღვიძა. მზის სხივებს დანატრებულმა ძიძებმა ბაღებისკენ წაიყვანეს თავისი პაწიები. ქალაქში მზის სიხარულმა დაისადგურა.



ამხ. ვ. სელიხოვი.

მხოლოდ მუშებისთვის არ იყო ეს სიხარული. მოგვატყუეს, გაგვცეს, ჩვენი სახელით ათასგვარ სისაძაგლეს ჩადიან, რევოლუციურ რუსეთს უნდათ მოგვწყვიტონ და ინგლისელების ხელში ჩაგვყარონ — გაისმოდა ყოველი კუთხიდან. ქარხნებმა თვალი გაახილეს, ენა ამოიდგეს და მგზნებარე სტეფანე შაუმიანის დაძახილისთანავე სამუშაო იარაღი დაყარეს: ინგლისელებისთვის არ ვიმუშავებთ, ძირს ნაძირალებო, გაუმარჯოს საბჭოებს!

მუშები ჯგუფ-ჯგუფად გროვდებიან ალექსანდროვის ბაღში. მალე მთელი ბაღი აივსო. გაჩნდა ტრიბუნა და ტრიბუნაზე აღზნებული ორატორი, რომლის თვითეული სიტყვა ცეცხლივით ენთებოდა.

— დაიშალეთ, ნუ შეგროვდებით, — საიდგანაც გაჩნდა მენშევიკური „ფარაონი".

მაგრამ ცეცხლმოდებულ მასას მისი არ ესმოდა. ორატორი თავისას განაგრძობდა, იკუმშებოდა ძარღვიანი მუშური მუშტი, გულში კი ბოღმა და ნაღველი იროდა.

არავის დაუნახავს, როგორ შემოერტყენ ბაღს გვარდიელები. მხოლოდ მაშინ გამოერკვნენ, როდესაც ტყვიებმა ხეს წვრილები წააგლიჯეს. ეს იყო ნიშანი, საშინელების დაწყების ნიშანი. აკაკანდა ტყვიამფრქვევები, აზუზუნდა შაშხანები და ალექსანდროვის ბაღში უმაგალითო ტრაგედია დატრიალდა. იცელებოდა ხალხი, ითელებოდნენ ბავშვები და გამკითხავი არავინ იყო.

— სელიხოვ დაწექი, თორემ მოგკლავენ! — ურჩევს ამხანაგი ამხანაგს. მაგრამ სელიხოვს მისი არ ესმის. ის მაგრად ჰკუმშავს ხელში წითელ ნაჭერს და ფრთხილად მიაბიჯებს დახოცილთა გვამებზე.

სელიხოვი გადარჩა, მაგრამ ბევრმა პროლეტარმა დალია სული იმ დღეს ალექსანდროვის ბაღში. გაფიცულები ნელნელა დაუბრუნდნენ სამუშაოს, მხოლოდ ბოლშევიკები განაგრძობდნენ ბრძოლას. მათთან იყო აღბულაღელი გლეხის შვილიც, მთავარ სახელოსნოების მჭედელი ივანე სელიხოვი.

როდესაც მისი „მორჯულება" შეუძლებელი შეიქნა, მენშევიკებმა მას „ტერორი დაუნიშნეს": ორჯერ ჩაუსაფრდნენ მას, სახლში მიმავალს, ორჯერ ესროლეს, მაგრამ სელიხოვს ტყვია არ ეკარებოდა.

ქარხნიდან დევნილმა სელიხოვმა თავის სოფელს მიაშურა აღბულაღში, სათავეში ჩაუდგა სოფლის ახალგაზრდობას და სამკვდრო - სასიცოცხლო ბრძოლა გააჩაღა მენშევიკურ სატრაპებთან. ძვირად დაუჯდათ ეს ბრძოლა აღბულაღელებს: ბევრი დახვრიტეს, ბევრი გადაასახლეს, ბევრს ციხეში ამოძვრა სული. სელიხოვი შეიპყრეს, მისი ოჯახი ააწიოკეს, შვილები შემთხვევით გადარჩნენ სიკვდილს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ სელიხოვს აღბულაღში მოუსწრო, სადაც ის ტყეს აფარებდა თავს მეტეხიდან გაქცევის შემდეგ.

★

1923 წელს ივანე სელიხოვმა კვლავ სარემონტო ქარხანას მიაშურა. ძველმა მუშამ ისევ თავისი დაზგა მონახა და შრომის ცეცხლი დაანთო. მან თავის გარშემო შემოიკრიბა მასსავით თავდადებული მუშები და მალე საქვაბე საამქროს მუშაობა წინ წასწია.

სელიხოვი დღედაღამე ქარხანაშია, ასწავლის ახალგაზრდებს, რაზმავს ძველებს, ეხმარება საქარხნო ორგანიზაციებს საჭირბოროტო საკითხების მოგვარებაში, თვითონაც დამკვრელურად მუშაობს და სხვებსაც აქეთკენ მოუწოდებს.

ამავე დროს წერა-კითხვის მცირე მცოდნე სელიხოვმა იცის, რომ წინსვლისათვის საჭიროა ცოდნის ამაღლება, საწარმოო ტექნიკის დაუფლება, მინდობილი საქმის ყოველ კუნჭულში ჩაწვდომა. ისიც დაუღალავად მეცადინეობს, მუშაობს და მეცადინეობს. მალე მჭედელი სელიხოვი ზეინკლად იქცევა, შემდეგ მექვაბეთ, მონტიორად და ბოლოს საქვაბე საამქროს გამგის მოადგილედ.

დღეს სელიხოვი ამ საამქროს სული და გულია. მან არ იცის დასვენება, როცა საჭიროა მუშაობს ორცვლად და სამ ცვლადაც კი. სელიხოვი ეხმარება სხვა საამქროებსაც. უკანასკნელად მან შემოიკრიბა ექვსი გამოცდილი მუშა და იკისრა გეგმის ზევით გამოუშვას კაპიტალურ რემონტიდან ერთი ქვაბი ვაგონების შემკეთებელ ქარხნისათვის. ახლა ეს ყველაზე საშური საქმეა სელიხოვისათვის: მას ძილისა და დასვენებისათვის არ სცალია, ქარხანაში ათენებს და აღამებს, თავის პროლეტარულ სიტყვას უფრთხილდება, დაპირება დროზე უნდა შეასრულოს. და შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ სელიხოვი დაპირებას გაანაღდებს. მისი წარსული საწარმოო პრაქტიკა ამის უტყუარი საბუთია.

გიკვირს, საიდან აქვს ამ კაცს ამდენი ენერგია! ის არ გამოუშვებს არცერთ კრებას, ყველგან ასწრებს, ყველაფერში შეაქვს თავისი წვლილი სელიხოვი ყველა საქარხნო ორგანიზაციის წევრია, არ არის ისეთი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლის ღირსეული წევრიც არ იყოს სელიხოვი. ის აქტიურ მუშაობას ეწევა საბჭოს ხაზითაც: წევრია რაიონულ საბჭოსი და თავის საამქროში ხელმძღვანელობს სადეპუტატო ჯგუფს.

მოხდა ისე, რომ საქვაბე საამქროში თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობა შესუსტდა. სელიხოვმა ეს საკუთარ შერცხვენად მიიჩნია. მოელაპარაკა ბიჭებს, დააინტერესა ისინი თავდაცვითი მუშაობით და მალე მთელი საამქრო თავდაცვა-ავიაქიმში ჩააბა.

— წარსულში მე სიხარული არ მინახავს: ნახევრად მშიერი, აფორიაქებული ცხოვრება, დატანჯული, აწიოკებული ცოლშვილი — ასეთი იყო ჩემი წარსული. ნამდვილ ადამიანურ ცხოვრებას მე მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს ვეზიარე. ჩემი სიხარული — ჩემი ქარხანა და ჩემი ბავშვებია.

ბავშვები! რა დატანჯული ვიყავით ჩვენ იმ მხრივაც. რომელ მუშას შეეძლო მაშინ ბავშვების გამოზრდა. სწავლა კი არა, მათთვის საჭმელსაც ვერ ვშოულობდით. და იყვნენ ისინი მშიერ-მწყურვალნი, ჩამოგლეჯილი, ყოველგვარ სიხარულს და სიტკბოებას მოკლებულნი. დღევანდელ სინამდვილესთან შედარებაც კი არ შეიძლება.

სელიხოვი სამაგალითოა წარმოებაშიც და ოჯახშიც. მისგან უხეშ სიტყვას ვერ გაიგონებს ვერავინ, ვერც მეზობელი, ვერც მისიანი. მას ორი შვილი ყავს და ორივე სწორ გზაზე დააყენა. უფროსმა სწავლა დაამთავრა და ამჟამად ვაგონების სარემონტო ქარხანაში მუშაობს, უმცროსი მსახურობს და სწავლობს კიდეც. მალე ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში შევა, რომ ტექნიკურად შეიარაღებულმა გააგრძელოს სელიხოვების გვარის პროლეტარული ტრადიცია.

რამდენ სელიხოვს გაუხსნა გზა ოქტომბრის რევოლუციამ!

შ. ბუაჩიძე.

ახალი ადამიანის გზა

— ვინ მოსჭრა ვაშლას კუდი? ვინ დაუმახინჯა გიო ყაჯრიშვილს საუკეთესო ხარი?

სოფ. ბოდბისხევში გლეხები ახლაც იხსენებენ ამ სასაცილო ამბავს, თუმცა დღესაც არავინ იცის დამნაშავის ვინაობა.

გავსთქვათ „დამნაშავე".

ვაშლას კუდი მსხვერპლად შეეწირა შურისძიებას. პატარა ვასო ყაჯრიშვილმა სხვა ვერაფრით გადაუხადა სამაგიერო თავის ბიძაშვილს გიოს და ხარი დაუმახინჯა. გიოს უბედურებამ სხვებიც დააფრთხო. ყველა გაფრთხილებით ადევნებდა საქონელს თვალყურს, ფხიზლობდენ და შორიახლოს დასდევდენ საძოვრად გაშვებულ ხარებს.

— ალბად, ჭინკამ მოაჭამა კუდიო, სთქვა უფროს კოლეგებთან ერთხელ პატარა მოჯამაგირემ—ვასომ, მაგრამ არავის ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

ვასო ყაჯრიშვილი მაშინ 12—13 წლის ბიჭი იყო. სიმშილმა, სიღარიბემ და ობლობამ იგი მოჯამაგირის ეკლიან გზაზე დააყენა და ბოდბისხევიდან ალაზანგაღმა სოფელში — კაბალში, კულაკ მუსა-ოღლის მონად გასტყორცნა.

ერთი კვირის წინათ მუსამ თავისი მოჯამაგირე ვასო ურმით გაგზავნა ლაგოდეხისკენ. პატარამ ხეირიანად გზაც არ იცოდა, მას არ შეეძლო დამოუკიდებლად ხარების გაძღოლა, და ამიტომ მუსამ ისეთი დღე შეურჩია, რომ მის მეზობლებსაც გაეგზავნათ ურმებით სიმინდი ლაგოდეხში.

ეს იყო ვასოს პირველი რეისი. მის ბედში მყოფი დანარჩენი მოჯამაგირეები დავაჟკაცებულნი იყვნენ და თავის მხრივ მათ ვასო გაიხადეს ხელზე მოსამსახურედ. სასმელი წყალი ვასოს მოჰქონდა, ურმებს ვასო დარაჯობდა, ხარებს ვასო მწყემსავდა, ცეცხლი დასჭიროებოდათ და შეშა ვასოს უნდა მოეგროვებია. გაუმწარეს მგზავრობა საწყალ ბავშვს. ეს კიდევ არაფერი, მაგრამ მასხრობის და ოხუნჯობის საგნადაც ვასო ყავდათ ამოჩემებული.

ამხ. ვასილ ყაჯრიშვილი.

არის პატარა სოფელი ივანოვკა. მის მახლობლად მეურმეები დაბანაკდნენ და, რადგან კოკისპირული წვიმა წამოვიდა, ყველამ დახურულს მიაშურა. ვასო კი დასტოვეს ურმებთან. დაღამდა.

— მოდი შევაშინოთ. გადასწყვიტეს დანარჩენებმა მოღრუბლულ ღამეში ვასოს ურემთან ფრთხილად მიიპარეს და თოფის წამალი აფეთქეს.

— ვასო თავს უშველე, ქაჯებმა გამოარეს შენსკენო, უყვირა გიომ შორიდან, დუქნის დერეფნიდან. მოისმა ეს ხმა ვასოს თუ არა, თოფის წამალი კიდევ აფეთქდა.

— მიშველეთ... ყვირის ბავშვი და პასუხად სიცილი მოისმის. ეს ქაჯთა მამასახლისები იცინიანო, იფიქრა შეშინებულმა და გაიქცა. დუქნის დერეფანთან ვასო [illegible] ძირს დავარდა ძლივს მოაბრუნეს.

— ჩვენ ვიყავითო, უთხრეს, მაგრამ პატარას მაინც არ სჯეროდა.

მეორე დღეს ვასო დარწმუნდა, რომ წუხანდელი საშინელი „მისტერიის" მომწყობა სწორედ მისი ბიძაშვილი „დამსახურებული" მოჯამაგირე გიო ყაჯრიშვილი იყო. მოინდომა მას სამაგიეროს გადახდა, და, რადგან სხვა ვერაფერი შესძლო, მისი საუკეთესო ხარს—ვაშლას, კუდი მოსჭრა. ვაშლა კი გიოს მოჯამაგირეობის პირველი შენაძენი იყო და მისი საშუალებით ფიქრობდა ახალგაზრდა კაცი მოჯამაგირობის უღლიდან თავის დახსნას.

ვასო ახლა 34 წლის კაცია. ხეირიანად არც კი ახსოვს მამის გარდაცვალება. ახსოვს მხოლოდ, რომ დედამისი სოფელსოფელ დადიოდა, სარეცხს რეცხავდა, შვილებისთვის მოჰქონდა სასმელ-საჭმელი... 4 ბავშვი დაწვა სარჩენად ავადმყოფ და ღარიბ ქვრივს.

ვასო რომ 8 წლის გახდა, იგი მოჯამაგირედ მიიბარა ბოდბისხეველმა კულაკმა, დიდი ცხვრის ფარის პატრონმა „ფაშალამ". ორი წლიწადი იმუშავა „ფაშალასთან" ვასომ და დაიმსახურა ერთგული, პატიოსანი და კარგი მოჯამაგირის სახელი. ერთი იყო მხოლოდ, რომ ფაშალა ვასოს არაფერს აძლევდა ამ ერთგული მუშაობისთვის, გარდა მჭლე სასმელ-საჭმელისა და ძველი, ნაცვამი ტანისამოსისა, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ უპატრონო ბავშვი სიმშილით არსად ჩამკვდარიყო და მეზობლების სასაცილოდ ადამივით შიშველი არ ევლო.

ბოლოს, ვასო გადაიბირა მუსა-ოღლიმ, „შესანიშნავი" პირობები შესთავაზა მან პატარა მოჯამაგირეს.

თებერვლის რევოლუციის ამბავმა ზღაპარივით მიაღწია ვასოს შემეცნებამდე. იფიქრა — ახლა მეშველაო, მიანება მუსას თავი და დაბრუნდა სამშობლო სოფელში, —იქნებ მიწა მომცენო. მიწა არავინ მისცა, მაგრამ ყოფილმა ხაზეინმა ფაშალამ მას მიაქირავა რაღაც ნახევარ ჰექტარამდე მიწის ნაკვეთი. 18 ლის ვასომ დათესა პური, მოიყვანა შესანიშნავი მოსავალი, რომლის ნახევარიც მიწის პატრონმა წაიღო. მას დარჩა 50 ფუთი ხორბალი. აქედან 10 ფუთი უნდა მიეცა ხარების პატრონისათვის, 12 ფუთი უნდა მიეცა მისთვისვე სათესლეთ აღებული 6 ფუთ ხორბალში, 15 ფუთი უნდა მიეცა ძნის ხარებით ამოტანისთვის, კალოს გასალეწად ცხენის ქირაში და სხვ. შემოდგომაზე რომ იანგარიშა, გამოვიდა, რომ მთელი წლის მუშაობაში მან ეიღო 7 ფუთი პური. არ გამოდგა ხელსაყრელი მოჯამაგირეობიდან ჯანთავისუფლება. ეს იყო მენშევიკების დროს.

ვასო ისევ მოჯამაგირედ წავიდა.

1921 წლის თებერვალში ვასოსთვის გათენდა ბედნიერი დილა. ეს თარიღი მის შეგნებაში დარჩა, როგორც მეორედ დაბადების დრო. იგი მოჯამაგირეობიდან გაანთავისუფლეს და სოფლის კოოპერატივში ნოქრად დააყენეს. მართალია წერა-კითხვა მან ხეირიანად არ იცოდა, მაგრამ სამაგიეროდ უაღრესად პატიოსანი კაცის სახელი ჰქონდა ჩააბარეს საქონლით სავსე კოოპერატივი.

1926 წელს ვასო პარტიაში მიიღეს. გაგზავნეს ლაგოდეხში სამუშაოდ ძირეულ პარტიულ რგოლში, შემდეგ გაგზავნეს ცეკავშირთან მოწყობილ 6 თვიან კურსებზე. დაბრუნდა ისევ კოოპერატიულ სამუშაოზე; შემდეგ ანაგა-ვაქირის თემკოლმასკომში მდივნობდა. ვასომ ჩქარა მიიპყრო მაზრის ხელმძღვანელი მუშაკების ყურადღება, როგორც საუკეთესო მუშაკმა. 1928 წელს იგი გაგზავნეს მოსკოვში, საკავშირო კ. პ. (ბ) ც.კ-თან არსებულ 8 თვიან კურსებზე. მაგრამ იქ რუსულ ენაზე იყო მეცადინეობა. ვასოს კი რუსული „ინჩიც" არ ესმოდა. არ გაუმხელია მას თავისი უვიცობა და გადასწყვიტა — წავალ ვისწავლი რუსულსაც, დავამთავრებ კურსებს, არ ღირს უვიცად დარჩენაო. მატარებელში მისი თანამგზავრები თურმე ფიქრობდნენ, რომ ვასო მუნჯი იყო.

ვასომ ისწავლა, კურსები წარმატებით დაამთავრა და ერთი წლის შემდეგ ისევ საქართველოში დაბრუნდა. ყოფილი მოჯამაგირე პარტიამ გაგზავნა სიღნაღის მაზრის კოოპერატივთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ.

1932 წელს ვასო პარტიამ გააგზავნა ტფილისში, მარქსიზმ - ლენინიზმის ინსტიტუტთან ჩამოყალიბებულ ასპირანტობის მოსამზადებელ კურსებზე. ალგებრა, გეომეტრია, გეოგრაფია, ფიზიკა, შემდეგ — უმაღლესი მათემატიკა, ქიმია, პოლიტიკური ეკონომია, დიალექტიკური მატერიალიზმი! ჩააბარა გამოცდები და იგი გადარიცხეს ასპირანტურაში.

მესამე კურსზეა ახლა ვასო ყაჯრიშვილი და ერთი წლის შემდეგ მას საკუთარი კათედრა ექნება.

— გვიამბე ვასო, როგორ იმგზავრე მაშინ მოსკოვამდე?

თუმცა რა საჭიროა გვიამბოს, ვასოს თავგადასავალი ხომ ჩვეულებრივია. ეს არის იმ ხალხის თავგადასავალი, რომლებიც სუნთქავდნენ, მაგრამ არ ცხოვრობდნენ 1921 წლის თებერვლამდე. მხოლოდ საქართველოს ოქტომბერმა გაუხსნა მათ გზა ახალი და თვალწარმტაცი მომავლისაკენ. ამ გზაზე სვლაში გარდაიქმნენ ეს ადამიანები, გაიზარდნენ და დავაჟკაცდნენ ისინი.

ყოფილი მოჯამაგირე ვასო ყაჯრიშვილი ახლა ამზადებს შრომას — „კრიზისების თეორია და კაპიტალიზმის საყოველთაო კრიზისი".

ხედავთ, რა სიმდიდრე შეიძინა ვასო ყაჯრიშვილმა?

დ. ლომთაძე.

პროფ. ნ. მუსხელიშვილი
საკავშირო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ჩვენი მეცნიერება მე-17 წლისთავზე

განსაკუთრებულად სწრაფი განვითარება მათემატიკური და ფიზიკური მეცნიერებისა საბჭოთა კავშირში (მხოლოდ ამ დარგებს ვეხები, რადგანაც მათთან უფრო ახლოს ვდგევარ), ყველასათვის აშკარაა, ვინც ამ საკითხს ოდნავ მაინც თვალყურს ადევნებს. ამ ფაქტს არ უარყოფენ ჩვენი მტრებიც.

ერთ-ერთ საუკეთესო დამამტკიცებელ დოკუმენტს მათემატიკის და ფიზიკის განვითარებისა ჩვენში, წარმოადგენს სამი წიგნი „მათემატიკა საბჭოთა 15 წლის განმავლობაში" და ანალოგიური სათაურის ორი წიგნი ფიზიკისა და მექანიკის შესახებ, რომელნიც გამოცემული იყო (მოსკოვში) რევოლუციის მე-15 წლისთავზე. საკმარისია მხოლოდ გადაავლოთ თვალი იქ მოყვანილ ბიბლიოგრაფიას, რომ დარწმუნდეთ, თუ რა იშვიათი ინტენსიობის და ნაყოფიერი მუშაობა ჩატარდა ამ შედარებით მოკლე ვადაში. უკვე მაშინ საბჭოთა კავშირის მათემატიკამ დაიჭირა **ერთ-ერთი უპირველესი ადგილი მსოფლიოში.** ის, რაც გაკეთებულია ამ წიგნების გამოქვეყნების შემდეგ, ამტკიცებს, აშკარად, რომ **ზრდის ტემპები სწრაფად მატულობს.**

კერძოდ, საქართველოში მიღწეულია **ძალიან მნიშვნელოვანი** შედეგები, განსაკუთრებით მათემატიკაში. დიდი მნიშვნელობა აქვს სახ. უნივერსიტეტთან მათემატიკის ინსტიტუტის დაარსებას, რომელიც მოხდა წარსული წლის ნოემბერში. ინსტიტუტში ამჟამად სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა, და მიუხედავად არსებობის ძალიან მოკლე ვადისა, მიღებულია საგრძნობი შედეგები. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ინსტიტუტის წევრების მიერ ერთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებულია (საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ) ან დამზადებულია და საბეჭდათ დაახლოებით 16 შრომა, მათ შორის რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი. მათემატიკოსთა საკავშირო ყრილობაზე ინსტიტუტის წევრები გამოვიდნენ 8 მოხსენებით, ასე რომ ამ მხრივ ტფილისმა დაიკავა მე-3 ადგილი კავშირის ქალაქებს შორის (უშუალოდ მოსკოვსა და ლენინგრადის შემდეგ). ყრილობამაც ეს ფაქტი სათანადოდ აღნიშნა თავის რეზოლუციაში, სადაც **ტფილისი აღიარებულია, როგორც ახალი მნიშვნელოვანი მათემატიკური ცენტრი.**

რა თქმა უნდა, მრავალი ნაკლებიც არის ჯერჯერობით ჩვენს მუშაობაში, ბევრი რამ მოითხოვს მოწესრიგებას. ამას ჩვენ სრულებითაც არ ვარიდებთ თვალს. მაგრამ მთავარია ერთი რამ: ჩვენ უსათუოდ გამოძებნილი გვაქვს **სწორი გზა** (თუ მხოლოდ არსებით ნაწილს მივაქცევთ ყურადღებას) და ჩვენს ოპტიმიზმს აქვს რეალური, მატერიალური ნიადაგი. ჩვენს რწმენას მომავალ წარმატებაში საფუძვლად უდევს არსებული მდგომარეობის ობიექტური შეფასება და მეცნიერული მუშაობის მიზნის ჯანსაღი გაგება. ამ პირობებში ჩვენ აუცილებლად შევძლებთ ყველა დაბრკოლებების დაძლევას, წვრილმანი ნაკლების და შეცდომების გამოსწორებას.

დასასრულ კიდევ ერთი რამ უნდა აღვნიშნო, უკანასკნელ ყრილობამ აშკარად დაამტკიცა, რომ **ახალგაზრდა თაობაში** მოიპოვებიან განსაკუთრებით ძლიერი მათემატიკოსები. ზოგი მიღწევები, საკავშირო და მსოფლიო მნიშვნელობის, მიღებული იყო სულ ახალგაზრდა პირების მიერ. ეს ობიექტური ფაქტი უსათუოდ გაახარებს ყველას, ვისაც გულწრფელად სურს საბჭოთა მეცნიერების განვითარება და თანაც გვავალებს კიდევ უფრო მტკიცედ და ჩაფიქრებულად ვიზრუნოთ ახალი კადრების მომზადებაზე. უნდა შევიგნოთ, რომ ახალგაზრდა მეცნიერების მომზადების საკითხში უნდა იყოს აღებული **მტკიცე გეზი.** მივცეთ გზა და გავუწიოთ ყოველმხრივი დახმარება **ნამდვილად ნიჭიერ და შრომის მოყვარე ახალგაზრდებს,** ხოლო სრული სისასტიკით მოვიშოროთ ისინი, ვისაც სურს მეცნიერული მუშაობის სუროგატით თავისი პირადი საქმეები მოაწყოს.

ბამბის ჩაბარების წლიური დავალება გადაჭარბებით შევასრულეთ

საქართველოს კ.პ. (ბ) ც. კომიტეტი—ამხ. ლ. ბერიას,
საქ. სახკომსაბჭოს — ამხ. გ. მგალობლიშვილს.

ყარაიას რაიონმა 5 ნოემბრისათვის თქვენი მტკიცე ოპერატიული ხელმძღვანელობისა და პარტიული ძალების სწორად განაწილების მეოხებით, სახელმწიფოს ჩააბარა 8081 ტონა ბამბა გეგმით გათვალისწინებულ 8030 ტონის ნაცვლად. ბამბის ჩაბარების წლიური დავალება, შესრულებულია 106,1 პროცენტით, ჩაბარება გრძელდება.

ვღებულობთ ვალდებულებას საბჭოების მე-7 ყრილობის სახელობის საწარმოო ლაშქრობასთან დაკავშირებით **გეგმის გარეშე მივცეთ სახელმწიფოს 800 ტონა ბამბა.**

საქ. კ.პ. (ბ) ყარაიას რაიკომის მდივანი—გრ. კარანაძე.
აღმასკომის თავმჯდომარე — მამედოვი.
სამ. სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილე—ოგანეზოვი.

დღეს, 6 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე სახ. ოპერის შენობაში, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის VXII წლისთავის აღსანიშნავად, მოწვეულია

ტფილისის საბჭოს საზეიმო პლენუმი

პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ აქტივთან და წითელ არმიასთან ერთად.

შესვლა სპეციალური მოსაწვევი ბილეთებით, რომლებიც რაიონულ საბჭოებში გაიცემა.

ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმი.

აკ. თათარიშვილი

△ △ △ △ △

კულტურული მშენებლობა საქართველოში

სოციალისტური სახალხო მეურნეობის წარმატებით მშენებლობასთან ერთად საბჭოთა საქართველომ ოქტომბრის 17 წლისთავზე უდიდეს გამარჯვებას მიაღწია კულტურული მშენებლობის დარგში. „პროლეტარიატის დიქტატურის და სოციალიზმის მშენებლობის პერიოდი საბჭოთა კავშირში არის შინაარსით სოციალისტური და ფორმით ნაციონალური კულტურის აყვავების პერიოდი", — გვასწავლის ამხ. სტალინი

ამ დირექტივის შესრულებისა და პარტიის მიერ კულტურული რევოლუციის წინაშე დაყენებული ამოცანების გადაწყვეტის დარგში საბჭოთა საქართველომ განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია.

ავიღოთ სასკოლო ასაკამდე აღზრდის საქმე საქართველოს სახალხო განათლების სისტემაში. თვითმპყრობელობის დროს სასკოლო ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა ქსელის გაშლაზე არავინ არ ზრუნავდა. 1914-15 წელს საქართველოში 2 სასკოლო ასაკამდე აღზრდის დაწესებულება არსებობდა და ისიც მხოლოდ შეძლებულთა ფენების ბავშვებისათვის. მენშევიკების დროს საქართველოში 5 სასკოლო ასაკამდე აღზრდის დაწესებულება არსებობდა. მხოლოდ საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ ექცევა ამ საქმეს განსაკუთრებული ყურადღება. პარტიის და ხელისუფლების პოლიტიკა სასკოლო ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა ქსელის დარგში მიმართულია იქითკენ, რომ უახლოეს დროში სრულად განვახორციელოთ ბავშვთა საზოგადოებრივი აღზრდა. კულტურული რევოლუციის ამ მნიშვნელოვანი ამოცანის შესრულების მხრივ 17 წლის მანძილზე სერიოზული ნაბიჯია გადადგმული მთელ საბჭოთა კავშირში. კერძოდ, საქართველოში 1933-34 სასწავლო წლისათვის ჩვენ უკვე გვაქვს 1712 სასკოლო ასაკამდე აღზრდის დაწესებულება, რომელშიაც სწავლობს 95.228 ბავშვი, ე. ი. სასკოლო ასაკამდე აღზრდის ბავშვთა მოსახლეობის 80,9 პროც. აღსანიშნავია, რომ ამ დაწესებულებათა ქსელის გაშლაში დიდ როლს ასრულებს სამეურნეო, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და სასკოლო კოოპერაცია. ყველა ღონისძიება, რომელიც დასახულია სასკოლო ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა ქსელის გაშლის და მუშაობის ხარისხის ამაღლების დარგში, მიმართული უნდა იქნეს იქითკენ, რომ მეორე ხუთწლედის ბოლოს არ დაგვრჩეს არც ერთი ბავშვი საბავშვო ბაღისა და საბავშვო ბაგის გარეშე.

კულტურული რევოლუციის მეორე მნიშვნელოვან ამოცანას დაწყებითი სკოლის ფარგლებში საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარება წარმოადგენდა. ამხ. სტალინი პარტიის მე-15 ყრილობაზე გარკვეულად აყენებდა საკითხს საყოველთაო სავალდებულო სწავლებაზე გადასვლის შესახებ. საქართველოში საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარება 1929-30 სასწავლო წლიდან დაიწყო. საქართველოში რუსეთის იმპერიალიზმის ბატონობის პერიოდში იყო 1442 დაწყებითი სკოლა 91.638 მოწაფით, მენშევიკების დიქტატურის დროს, ე. ი. 1920-21 წ. 1.745 სკოლა 136.282 მოწაფით. 1933-34 სასწავლო წელს ჩვენ გვაქვს 4.050 სკოლა, ბავშთა მოსახლეობის 98 პროც. და დაწყებით სკოლაში ასწავლის 11.746 მასწავლებელი. საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარებაში ხელს გვიშლიდა კადრების სიმცირე ნაციონალურ უმცირესობათა რაიონის სკოლებისათვის. ისეთ რაიონებში, როგორიცაა: ასპინძის, ადიგენის ბაშკიჩეთის, ბოლნის, ყარაიას და ლუქსემბურგის რაიონები, საყოველთაო სავალდებულო სწავლება მთლიანად 1933-34 სასწავლო წელში დამთავრდა. ამრიგად მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში გახდა შესაძლებელი დაწყებითი სკოლის ფარგლებში საყოველთაო სავალდებულო სწავლების მთლიანად გატარება. რაოდენობრივი მაჩვენებლების ზრდასთან ერთად საყოველთაო სავალდებულო სწავლების დაწესებულებათა ქსელის გაშლის დროს ჩვენ არა გვაქვს შესაფერისი ხარისხობრივი მაჩვენებლები სწავლების გარდაქმნის საქმეში. სწავლების ხარისხის ამაღლება ბევრად არის დამოკიდებული მომზადებული პედაგოგიური კადრებისაგან და სკოლის მატერიალური ბაზის შემდგომ გაუმჯობესებაზე, რასაც პარტია და ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს.

დაწყებითი სკოლის ფარგლებში საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარების საფუძველზე შესაძლებელი გახდა ინდუსტრიალური და მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარება არასრული საშუალო სკოლის ფარგლებში. საყოველთაო სავალდებულო სწავლება არასრული საშუალო სკოლის ფარგლებში უკვე გატარებულია 27 ქალაქში და 11 რაიონში, ხოლო დანარჩენ რაიონებში ეს ამოცანა ძირითადად გადაწყდება 1934-35 სასწავლო წლის ბოლოს.

საბჭოთა საქართველოს სინამდვილეში ძველი სქოლასტიკური ხასიათის მეორე საფეხურის სკოლა გადაიქცა ახალ, პოლიტექნიკური სკოლის ტიპად, რომლის ამოცანას შეადგენს: „მისცეს მოსწავლეებს მეცნიერებათა საფუძვლების" ცოდნა, გააცნოს მოსწავლეებს „თეორიაში და პრაქტიკაში წარმოების ყველა მთავარი დარგი" და გაატაროს „მჭიდრო კავშირი სწავლებასა და საწარმოო შრომას შორის". საშუალო სკოლის მუშაობის გარდაქმნას სახალხო განათლების ორგანოები, პარტიის ყოველდღიურ ხელმძღვანელობით, აწარმოებს იმ დადგენილებათა საფუძველზე, რომლებიც მიიღო საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. 1931 წლის 5 ოქტომბრის და 1932 წლის 25 აგვისტოს. ამ დადგენილებათა რეალიზაციისათვის ბრძოლის შედეგად ჩვენ მივიღეთ შემდეგი მიღწევები: 1914-15 წელს იყო 251 მეორე საფეხურის სკოლა, რომელშიაც სწავლობდა 40.925 მოწაფე. მენშევიკების ბატონობის დროს მეორე საფეხურის სკოლების რიცხვი შემცირდა საქართველოში თვითმპყრობელობის ბატონობის პერიოდთან შედარებით, ე. ი. მენშევიკების დროს იყო 179 მეორე საფეხურის სკოლა 24.691 მოწაფით, 1933-34 წლისათვის ჩვენ უკვე გვაქვს 942 სკოლა 79.159 მოწაფით, ე. ი. 7 წლიან პოლიტექნიკურ სკოლაში ამჟამად გაერთიანებულია ბავშთა მოსახლეობის (12-15 წ.) 66,9 პროც.

სიღნაღის რაიონის ელიავას სახ. კოლმეურნეობის წევრმა სიპრაშვილმა მის მიერ გამომუშავებულ შრომადღეებზე მიიღო 1768 კილოგრამი ხორბალი.
სურათზე: სიპრაშვილი მიღებულ ხორბალს ეზიდება თავის სახლში.

ათწლიანი საშუალო პოლიტექნიკური სკოლა მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში შეიქმნა. საშუალო სკოლის დარგში პარტიის პროგრამა მოითხოვს „ორთავე სქესის ყველა ბავშვებისათვის 17 წლის ასაკამდე უფასო და საყოველთაო ზოგადი პოლიტექნიკური განათლების (რომელიც მოსწავლეებს აცნობს თეორიასა და პრაქტიკაში წარმოების ყველა დარგებს) გატარებას". პარტიის პროგრამის ამ მნიშვნელოვანი მოთხოვნილების გატარებას ჩვენ 1932 წლიდან შევუდექით. ამჟამად უკვე გვაქვს 126 საშუალო სკოლა 15.158 მოწაფით საშუალო სკოლის ფარგლებში საყოველთაო სავალდებულო ზოგად პოლიტექნიკურ სწავლებას ძირითადად ჩვენ დავამთავრებთ მეორე სოციალისტურ ხ-წლედში.

სკოლის ძირითად ნაკლს ამჟამად წარმოადგენს ის, რომ სწავლება სკოლაში არ იძლევა საერთო განათლების საკმაო ცოდნას. სკოლა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ასრულებს ტექნიკუმებისა და უმაღლეს სასწავლებლებისათვის შესაფერისად მცოდნე კონტინგენტის მომზადების ამოცანას. სკოლის ამ ძირითადი ნაკლის აღმოფხვრისაკენ არის მიმართული სახალხო განათლების ორგანოების ძირითადი ყურადღება. სკოლის ძირითადი ნაკლის აღმოფხვრისათვის ჩვენ უკვე შევქმენით მნიშვნელოვანი პირობები. სკოლებს ამჟამად უკვე აქვთ ყველა დისციპლინაში ც. კ. 25 აგვისტოს და სახკომსაბჭოს და ც. კ-ის 16 მაისის დადგენილებათა საფუძველზე გადამუშავებული სტაბილური პროგრამები. სტაბილური პროგრამების საფუძველზე დამუშავებულ და გამოცემულ იქნა სტაბილური სახელმძღვანელოები. მაგრამ ის, რაც გაკეთდა სტაბილური სახელმძღვანელოების გამოცემის დარგში საკმარისი არ არის, რადგანაც საჭიროა, როგორც ხარისხის გაუმჯობესება, ისე ტირაჟის გადიდება.

საგრძნობლად გაიზარდა საბჭოთა მასწავლებლობის რიცხვი. 1914-15 წელს საქართველოში იყო 5.773 მასწავლებელი, 1919-20 წელში — 5.833, ხოლო 1933-34 წელს მასწავლებელთა რიცხვი 17.188-ს აღწევს, ე. ი. მასწავლებელთა რიცხვი 300 პროც. გაიზარდა. მიმდინარე სასწავლო წლის მოსამზადებელი მუშაობის შედეგად ჩვენ მივიღეთ 1.200 ახალი საკლასო ოთახი, 3.569 ახალი პარტები. შეკეთებულია თითქმის სასკოლო შენობების 85,6 პროც. დაბრკოლებანი სასკოლო შენობების შეკეთების საქმეში შექმნა მინების და ლურსმნების ნაკლებობამ. ყველა ამ ღონისძიებათა გასატარებლად სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებულ თანხების გარდა ნებაყოფლობით შეგროვილ იქნა 4.586.981 მანეთი.

კულტურული რევოლუციის მნიშვნელოვან და გადაუდებელ ამოცანას შეადგენს წ.-კითხვის უცოდინარობის, მცირემცოდნეობის და ტექნიკური უცოდინარობის ლიკვიდაცია. მეფის თვითმპყრობელობის და მენშევიკების საგანმანათლებლო პოლიტიკა არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მასების კულტურული დონის ამაღლების საქმეს. პირიქით, მეფის რეჟიმისა და მენშევიკური დიქტატურის ამოცანას შეადგენდა ხალხის დაბეჩავება და მათი კულტურული დონის დაქვეითება. პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ამოცანას შეადგენს მასების კულტურულ-პოლიტიკური დონის ამაღლება: „წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანი პოლიტიკის გარეშე დგას" — გვასწავლის ამხ. ლენინი. ამიტომ საჭიროა მასებს უპირველეს ყოვლისა ანბანი ვასწავლოთ და ვასწავლოთ ისე, რომ ისინი სოციალისტურ მშენებლობაში შეგნებულ მონაწილეობას ღებულობდნენ. სახალხო განათლების ორგანოებმა პარტიის ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა ჩაატარეს წ.-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დარგში. 1897 წ. მოსახლეობის აღწერის მიხედვით საქართველოში 301.388 წერა-კითხვის მცოდნე იყო (ე. ი. მოსახლეობის 20 პროც.), 1922-23 წ. წერა-კითხვის მცოდნე იყო 674.261 (ე. ი. 35 პროც.), 1926 წ. — 947.567 კაცი (ანუ 46,9 პროც.), 1930 წ. 1.573.417 (84.8 პროც.), ხოლო 1934 წლისათვის ჩვენ წერა-კითხვის მცოდნე გვყავს მოსახლეობის 90.6 პროც. მასიური განათლების დარგში დიდი ყურადღება ექცევა მუშათა და კოლმეურნეთა სკოლების ქსელის გაშლას. წარმოებებში და კოლმეურნეობებში იქმნება პოლიტექნიკური და პროფტექნიკური წრეები და სკოლები.

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაიზარდა კულტურულ და პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი. 1914-15 წელში საქართველოში იყო: 4 ბიბლიოთეკა, 3 კლუბი, 82 სამკითხველო, 4 კინო და 3 თეატრი. რაც შეეხება პოლიტსაგანმანათლებლო წრეებს, რადიოს და სხვ. ამის შესახებ ხომ ლაპარაკი ზედმეტია. მენშევიკების ბატონობის პერიოდში ეს მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა. მენშევიკების დროს საქართველოში იყო: 11 ბიბლიოთეკა, 142 სამკითხველო, 11 სახალხო სახლი, 5 თეატრი და 11 კინო, რომლებსაც უმთავრესად მშრომელთა თვითმოქმედებით შეკრებილი თანხებით ინახავდნენ. სულ სხვა სურათი გვაქვს კულტურულ და პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის გაშლის დარგში საბჭოთა საქართველოს პირობებში. 1933-34 წელში ჩვენ უკვე გვაქვს: 110 ბიბლიოთეკა, 255 კლუბი, 859 სამკითხველო, კულტურის 6 სახლი, 207 სტაციონალური კინო, 16.800 რადიოდადგმულობა, 62 რადიო-სადგური, 41 თეატრი, 5 კულტურისა და დასვენების პარკი, 7.120 წითელი კუთხე, 1.700 თვითგანვითარების წრე, 24 საკოლმეურნეო სახლი, 38 სახალხო სახლი და სხვ.

კულტურული რევოლუციის წინაშე დასმული ამოცანების განხორციელება შეუძლებელია ცოცხალი ადამიანების გარეშე, ამიტომ კადრების მომზადებას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. ამ მხრივ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ გადამჭრელ შედეგებს მივაღწიეთ და წარმატებით ვასრულებთ ამხ. სტალინის მითითებას ამ დარგში.

1914-15 წ. საქართველოში 11 სპეციალური სასწავლებელი იყო 1.960 მოწაფით. მენშევიკების დიქტატურის პირობებში სპეციალური სასწავლებლების რიცხვი 8-მდე შემცირდა. საბჭოთა საქართველოში, სოციალისტური სახალხო განათლების სისტემის შექმნასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პროფტექნიკური განათლების განვითარების საქმეს. საშუალო კვალიფიკაციის კადრების მოსამზადებლად შეიქმნა სპეციალური ტექნიკუმები და საფაბრიკო-საქარხნო სკოლები, რომლების შექმნაშიაც კომკავშირს განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის. 27-28 სასწავლო წელს ჩვენ გვქონდა 46 სპეციალური ტექნიკუმი, რომელშიაც სწავლობდა 7.636 მოწაფე, ხოლო 1932-33 წლისათვის ჩვენ უკვე გვაქვს 158 სპეციალური ტექნიკუმი 24.867 მოწაფით. აქედან მარტო პედაგოგიური ტექნიკუმების რიცხვი უდრის 55, რომელშიაც სწავლობს 7.851 მოწაფე.

საკავშირო ცაკის 1932 წ. 19-10 დადგენილების საფუძველზე საქართველოში ჩატარდა სპეციალური ტექნიკუმების და უმაღლეს სასწავლებლების რეორგანიზაცია და რაიონიზაცია. ამავე დროს 1935 წლის 1 იანვრიდან ჩამოვაყალიბებთ ახალ პედინსტიტუტს ზოგიერთ ქალაქში.

უმაღლეს სასწავლებელთა შორის ცენტრალური ადგილი ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეკუთვნის. მოკლე ხნის განმავლობაში ჩვენმა უნივერსიტეტმა შესძლო სასწავლო-პედაგოგიური პროცესის და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მოწყობა და საბჭოთა კავშირის მოწინავე უნივერსიტეტების რიგებში ჩადგომა. ამჟამად უნივერსიტეტის სისტემაში შედის 9 ფაკულტეტი 37 სპეციალობით, 51 კათედრა, 2 საგნობრივი კომისია, 21 კაბინეტი და ლაბორატორია. უნივერსიტეტთან მოეწყო 5 სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი: გეოლოგიის, ექსპერიმენტალური ფიზიოლოგიის, გეოგრაფიის, მათემატიკის და მექანიკის და შოთა რუსთველის სახელობის ენის, ლიტერატურის, ხელოვნების და ისტორიის ინსტიტუტი. უნივერსიტეტთან ჩამოყალიბდა ასპირანტურის ინსტიტუტი, რომელიც ამზადებს ახალგაზრდა სამეცნიერო-პედაგოგიურ კადრებს. საკმაოდ გაძლიერდა და განმტკიცდა უნივერსიტეტის ფინანსიურ-მატერიალური ბაზა.

1934 წელს ჩვენ შევსძლით სამეცნიერო საკვლევო დაწესებულებათა ქსელის გაშლა და მათი მუშაობის ორგანიზაცია. უნივერსიტეტთან არსებულ სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა გარდა მოეწყო მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი, საქართველოს მუზეუმში საფუძველი ჩაეყარა სრულიად ახალ პრინციპებზე აგებულ არქეოლოგიურ გამოფენას. ამავე მუზეუმში გაიმართა ფირდოუსისადმი მიძღვნილი ორიგინალური გამოფენა, რომლის გადატანაც განზრახულია ქ. მოსკოვში. საკმაოდ დიდი მუშაობა ჩატარდა ხელოვნების მუზეუმის — „მეტეხის" მოწყობის მხრივ. ამჟამად დასრულებულია ხელოვნების სიძველეთა დასაცავ სეიფის მოწყობა. ყოფილი მეტეხის ციხის ადგილზე აშენდება ახალი შენობა ხელოვნების მუზეუმისათვის. საკმაოდ დიდი ნაბიჯი გადაიდგა სამეცნიერო ხასიათის ბიბლიოთეკების შევსების და გამდიდრების დარგში. საჯარო ბიბლიოთეკაში და უნივერსიტეტის ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკაში ამჟამად 2 მილიონზე მეტი სხვადასხვა სახელწოდების წიგნი მოგვეპოვება ქართულ, რუსულ, აღმოსავლურ და ევროპულ ენებზე. საკმაოდ სერიოზული მუშაობა ჩაატარა ტერმინოლოგიურმა კომიტეტმა, რომელმაც მიმდინარე წელს დაამზადა და გამოსცა 3 წიგნი. 1934 წლის დასაწყისში საფუძველი ჩაეყარა ქართული შრიფტის რეფორმის კომიტეტს. ამ საკითხის მეცნიერულად დამუშავების მიზნით პედაგოგიკისა და პედოლოგიის სამეცნიერო საკვლევო ინსტიტუტთან მოეწყო სპეციალური ლაბორატორია შესაფერისი ხელსაწყოებით და მანქანებით. ამ ლაბორატორიაში მუშაობენ მხატვრები, ფსიქოლოგები, სტამბის მუშაკები და სხვ. შრიფტის რეფორმის ვარიანტები მზად იქნება 20 დეკემბრისათვის.

განსაკუთრებული მიღწევები გვაქვს სახელმწიფო გამომცემლობის განვითარების დარგში. მხოლოდ ჩვენს პირობებში გახდა შესაძლებელი მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ქართულ ენაზე გამოცემა ამჟამად უკვე გამოცემულია მარქსის კაპიტალის პირველი, მეორე და მესამე ტომი, ენგელსის „ანტიდიურინგი", „ბუნების დიალექტიკა" და მარქსისა და ენგელსის ცალკე შრომები. გამოცემულია ლენინის თხზულებათა 13 ტომი, 6-ტომიან თხზულებათა 5 ტომი, ამხ. სტალინის „ლენინიზმის საკითხების" ახალი თარგმანი. გამოცემულია ქართული, რუსული და მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსების რამოდენიმე მნიშვნელოვანი თხზულებანი (რუსთაველი, დანტე, პუშკინი, ფირდოუსი და სხვ.). სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობას მზად აქვს გამოსაცემად „ლიტერატურული მემკვიდრეობის" 1 ტომი, ადამ სმიტი, რიკარდო, კანტი, ჰეგელი და სხვა. საკმაო ტირაჟით იცემა სახელმძღვანელოები გაერთიანებულ უმაღლეს სკოლებისათვის. ამ მხრივ დიდი მუშაობა ჩაატარა გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა"-მ. ჩვენი სახელმწიფო და სხვა გამომცემლობანი სცემს წიგნებს არა მარტო ქართულ არამედ რუსულ, სომხურ, თურქულ და ევროპულ ენებზე. თუ როგორ წაიწია წინ წიგნის პროდუქცია ამის მაჩვენებელია შემდეგი ციფრები: მხოლოდ 1921 წლიდან 1932 წლამდე გამოცემულია 7.988 სახელწოდების წიგნი, ანუ 2.584-ით უფრო მეტი, ვიდრე 1629 წლიდან 1920 წლამდე, ე. ი. სამი საუკუნის მანძილზე. ყოველივე ეს მოწმობს პარტიის ნაციონალური პოლიტიკის უდიდეს გამარჯვებას.

იმ დროს, როდესაც დასავლეთ ევროპაში და ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად მცირდება ხარჯები სახალხო განათლებაზე, ჩვენში სახალხო განათლების ბიუჯეტი ყოველწლიურად იზრდება. 1933 წელთან შედარებით სახალხო განათლების ბიუჯეტი სახელმწიფო ბიუჯეტით გაიზარდა 269,1 პროცენტით, ადგილობრივი ბიუჯეტით — 132,0 პროც. ყოველწლიურად იზრდება ხარჯები, რომელსაც ხელისუფლება იღებს თითოეულ მოწაფის აღზრდაზე. 1934 წელს დაწყებითი სკოლის ერთ მოწაფეზე იხარჯება 54 მ. და 50 კ. არასრული საშ. სკოლის მოწაფეზე 148 მ. და 10 კ. საშუალო სკოლის მოწაფეზე 226 მ. და 81 კ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტზე — 1932 მან., პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტზე — 1.700 მ., პედ. ტექნიკუმის მოწაფეზე — 704 მან. და ა. შ.

ჩვენ აქ არ ვეხებით იმ უდიდეს მიღწევებს, რომლებიც გვაქვს თეატრის, ლიტერატურის, მხატვრობის, მუსიკის, კინოს და სხვა ფრონტებზე.

ის წარმატებები, რომელიც ჩვენ გვაქვს კულტურული მშენებლობის დარგში უზრუნველყოფილ იქნა პარტიის გენერალური ხაზისათვის [illegible] ბრძოლით. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. და ამხ. ბერიას უშუალო კონკრეტ ხელმძღვანელობით ჩვენ დროულად და მაღალი ხარისხით ვასრულებთ კულტურული მშენებლობის მეორე სოციალისტური ხუთწლედის მეორე წლის გეგმას.

ბრძანება
ს.ს.რ. კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრისა

№ 60.
1934 წ. 7 ნოემბერი
ქ. მოსკოვი.

ამხანაგო წითელარმიელებო, მეთაურებო, პოლიტმუშაკებო!

მოგილოცავთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-17 წლისთავს.

დიდია პროლეტარული დიქტატურის ჩვიდმეტი წლის შედეგები გამარჯვებული პროლეტარიატის ქვეყანაში.

თავისთვის, სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ შრომობს ფაბრიკებსა და ქარხნებში საბჭოების ქვეყნის დიდი მუშათა კლასი.

მრავალი ასეული ათასი ტრაქტორით, მრავალი ათეული ათასი კომბაინით, ავტომობილებით და სხვა თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მანქანებით აღჭურვილი კოლმეურნეობრივი სოფლის მრავალმილიონიანმა მშრომელებმა სამუდამოდ გადაიგდეს თავისი მხრებიდან თ.-აზნაურული, კაპიტალისტური და კულაკური კაბალის უღელი, საბოლოოდ დაადგნენ სოციალიზმის გზას.

მეორე სოციალისტური ხუთწლედის გეგმის ძლევამოსილი განხორციელება უზრუნველყოფს შეძლებულ და კულტურულ ცხოვრებას ჩვენი ქვეყნის ას სამოცდაათი მილიონი მშრომელისათვის. მეცნიერება და ტექნიკა, მხატვრობა, მუსიკა, ლიტერატურა, ხელოვნება მთელი თავისი მრავალფეროვნებით, ისე როგორც არასოდეს და მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში, მუშათა და კოლმეურნეთა უფართოესი მასების კუთვნილებად ხდება.

ბოლშევიკური პარტიის რკინისებურმა ნებისყოფამ, დიდი, ბრძენი სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის ბატონპატრონის—ძლევამოსილი მუშათა კლასის და მისი ხელმძღვანელობით მომქმედი კოლმეურნე გლეხობის შესანიშნავმა შემოქმედებითმა ენერგიამ მეფის ჩამორჩენილი და ღატაკი, მემამულურ — კაპიტალისტური რუსეთი მძლავრ და აყვავებულ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირად გადააქციეს.

სახელოვანი და გმირული შრომა ქარხნებსა და კოლმეურნეობებში, სკოლებსა, აკადემიებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, ლაბორატორიებსა, სამეცნიერო დაწესებულებებსა, ინსტიტუტებში და წითელი არმიის ნაწილებში; არქტიკის მკვლევარების, უშიშარი მფრინავების და სტრატონავტების უმაგალითო გმირობა ახალ ადამიანებს, უკლასო სოციალისტური საზოგადოების აქტიურ და შეგნებულ მშენებლებს სჭედენ.

მსოფლიოს მაღლა დაფრიალებს ჩვენი ქვეყნის, ჩვენი პარტიის დროშა, მარქსის, ლენინის, სტალინის დროშა.

სოციალიზმის გამარჯვება საბჭოთა კავშირში ყველა ქვეყნის მუშებსა და მშრომელებს აღფრთოვანებს ბრძოლაში თავის განსათავისუფლებლად, მთელი მშრომელი კაცობრიობისათვის ახალი ბედნიერი ცხოვრების შენების უფლების მოსაპოვებლად.

ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საზღვრებს მტკიცედ იცავს ძლიერი მუშურ-გლეხური წითელი არმია.

მუშურ-გლეხური წითელი არმია — საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა სიამაყე — მეჩვიდმეტე ოქტომბერს ხვდება მძლავრი, ტექნიკურად შეიარაღებული თავის ძალებში დარწმუნებული და მზად არის მუდამჟამს ძლევამოსილად მოიგერიოს ყოველგვარი თავდასხმა ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობაზე, მის მთლიანობაზე, საიდანაც უნდა გამომდინარეობდეს ეს თავდასხმა. ტაქტიკური სწავლების მინდვრებზე, სასროლო ადგილებსა და ბანაკებში, ჰაერში და ზღვაზე, კლასებსა და კლუბებში. წითელი არმიის ნაწილებმა საბრძოლო და პოლიტიკურ სწავლებაში, თავის იარაღის დაუფლებაში, კულტურული ზრდის საქმეში ახალ წარმატებებს მიაღწიეს.

წითელი არმია იყო და რჩება საბჭოთა ხელისუფლების შეურყეველი სამშვიდობო პოლიტიკის დასაყრდენი, ოქტომბრის გამარჯვებათა ერთგული დარაჯი, ჩვენი დიადი სახელოვანი სამშობლოს ფხიზელი გუშაგი.

ამხანაგო წითელ არმიელო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო!

განამტკიცეთ კვლავაც პროლეტარული დიქტატურის არმიის ძალა და შემძლებლობა! დაუღალავად, კიდევ უფრო დაძაბულად და თავდადებულად იმუშავეთ საბრძოლო მომზადების შემდგომი სრულყოფისათვის, სამშობლო ტექნიკის დასაუფლებლად, იმუშავეთ იმისათვის, რომ აღზარდოთ წითელი არმიის თვითეული მეომარი, როგორც უკლასო საზოგადოების კულტურული და შეგნებული მშენებელი, პროლეტარული რევოლუციის საქმისთვის თავგანწირული მშრომელი.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის მუშებს, კოლმეურნეებს და ყველა მშრომელებს!

უფრო მჭიდროდ შევაკავშიროთ რიგები რკინისებური, ძლევამოსილი ლენინური პარტიის, მისი ც. კ.-ის და ბელად-მასწავლებლის დიდი სტალინის ირგვლივ!

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ წითელ არმიას—საბჭოთა ქვეყნის ერთგულ გუშაგს!

ს.ს.რ. კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარი **კ. ვოროშილოვი.**

მოსკოვ-დონბასის მაგისტრალის მშენებელთა პატაკი

მოსკოვი, 4 ნოემბერი. მოსკოვ-დონბასის მაგისტრალის მშენებლობის უფროსი ამხ. **შატოვი**, პოლიტგანყოფილების უფროსი ამხ. **დრუიანი** და საგზაო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ივანიუკი** უპატაკებენ საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ს. ს. რ. კ. სახკომსაბჭოს და გზათა სახალხო კომისარიატს პირველ წარმატებათა შესახებ, რომლებსაც მიაღწია მაგისტრალის მშენებელთა 73 ათასიანმა კოლექტივმა.

— ოქტომბრის 17 წლისთავზე, ე.ი. პარტიის და მთავრობის მიერ დაწესებულ ვადებში, — ნათქვამია პატაკში, — ოფურელი—ვალუიკის უბანზე 640 კილომეტრის სიგრძით, დამთავრდა ორლიანდაგიანი გზის მშენებლობა. ახალი გზა უზრუნველყოფს 25-30 წყვილი მატარებლის გაშვებას დღე-ღამეში. უმრავლეს გადასარბენებზე მატარებლების მოძრაობა უკვე გადაყვანილია, ახლად აგებულ გზაზე.

მშენებლობის წლიური პროგრამა, დაწესებული მთავრობის და გზათა სახალხო კომისარიატის მიერ 145 მილიონი მანეთის რაოდენობით, 1 ნოემბრისათვის მთლიანად შესრულებულია (147 მილ. მან.) ვადამდე ორი თვით ადრე, ამასთან 1934 წლის 10 თვეში გაკეთებულია გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე ორი წინა წლის განმავლობაში.

მაგისტრალის მშენებლები სიტყვას აძლევენ მთავრობას და პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ჩვენი ქვეყნის დიადი მესაჭის—ამხანაგ სტალინის მეთაურობით, რომ შემდეგში ისინი მოახდენენ მთელი თავისი ძალღონის და ენერგიის მობილიზაციას, რათა უზრუნველყონ სამშენებლო სამუშაოთა სანიმუშო ხარისხი და დაწესებულ ვადებში სავსებით დაამთავრონ მშენებლობა პირველხარისხოვანი მაგისტრალისა, რომელიც არ ჩამოუვარდება უცხოეთის ტექნიკის საუკეთესო ნიმუშებს (ადს).

ქუთაისი ემზადება მეორე ხუთწლედის სესხის მე-5 ტირაჟისათვის

ქუთაისი, 4 ნოემბერი. ქუთაისი ემზადება მეორე ხუთწლედის პირველი გამოშვების სესხის მომავალი მეხუთე ტირაჟისათვის.

ქუთაისის შემნახველი სალარო, რომელიც ჩაება ფოთის, სტალინისის, ტყიბულის და ზესტაფონის შემნახველ სალაროებთან შეჯიბრებაში, ბრწყინვალედ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს.

რაიონული სამომხმარებლო სალარო დიდ მუშაობას აწარმოებს სესხის ობლიგაციების მქონეთა კულტურული მომსახურების ხაზით. ოქტომბერში 16 საწარმოსა და მსხვილ კოლმეურნეობასთან მოეწყო შემკრებელი პუნქტები, რომლებმაც მომსახურება გაუწიეს 5.580 კაცს. გამოვლინებულია 1.055 მოგება სულ 34.189 მანეთის. 10 ნოემბრიდან, მშრომელი მოსახლეობის ფართო მომსახურების მიზნით, ქალაქში იხსნება 4 საცნობარო კიოსკი. ქალაქის და რაიონის ცალკე შემნახველ სალაროებს შორის დადებულია ხელშეკრულება სოც. შეჯიბრების შესახებ სატირაჟო კომისიისათვის პატაკის წარდგენის უფლების მოსაპოვებლად (ადს).



მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის მშენებლობა ტფილისში.

პუტჩის მოხდენის ცდის დროს საარის ოლქში

„ავსტრია ვულკანზე“

ვარშავა, 3 ნოემბერი. ცნობაში სათაურით „ავსტრია ვულკანზე“ გაზეთი „კურიერ პოლსკი“ ახასიათებს ავსტრიის საშინაო პოლიტიკურ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა ნაციონალ-სოციალისტებთან შუშნიგის მთავრობის მოლაპარაკების შედეგად. გაზეთი წერს, რომ ცნობამ შუშნიგისა და შტარემბერგის მიერ ნაციონალ სოციალისტთა წარმომადგენლების მიღების შესახებ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ავსტრიის პოლიტიკურ წრეებში. საზოგადოებრივი აზრი, უწინარეს ყოვლისა, აღშფოთებულია თვით ასეთი მიღების ფაქტით, რომელიც მოხდა ივლისის ბოროტმოქმედების ჩადენასთან მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ. შემდეგ გაზეთი წერს, რომ მთავრობის წარმომადგენლებმა აცნობეს ნაციონალ-სოციალისტებს — თუ რა პირობებში გამოსთქვამს მთავრობა მზადყოფნას ითანამშრომლოს მათ ბანაკთან.

პოლიტიკური წრეებიდან მიღებულ სარწმუნო ცნობებით, ნაციონალ-სოციალისტებმა წამოაყენეს მთელი რიგი მოთხოვნები, პირველ რიგში: პროპაგანდის თავისუფლება, პლებისციტის ჩატარება სახელმწიფო წყობილების შეცვლის და გერმანიასთან ურთიერთობის ნორმალიზაციის საკითხზე. ნაციონალ-სოციალისტური ორგანოების აღდგენა თავის უფლებებში, ხოლო მათი წევრების აღდგენა ძველ თანამდებობებზე, ამნისტია ნაციონალ-სოციალისტების მონაწილეობა ცენტრალურ მთავრობაში და ცალკეულ კანტონალურ მთავრობებში.

ეხება რა ამ მოთხოვნებს, გაზეთი წერს, რომ ნაციონალ-სოციალისტთა პირობები წარმოადგენენ მხოლოდ ავსტრიის ჰიტლერიზაციას მშვიდობიან გზით. გაზეთი ძალიან სკეპტიკურად აფასებს ავსტრიის მთავრობის პრესის ცდებს შეარბილონ ის შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა მთავრობის მოლაპარაკებამ ნაციონალ-სოციალისტებთან (ადს).

უცხოეთის მუშათა დელეგაციები ოქტომბრის ზეიმზე

ლენინგრადი, 4 ნოემბერი. 4 ნოემბერს ოქტომბრის ზეიმზე დასასწრებლად ლენინგრადში ჩამოვიდენ სკანდინავიის მუშათა დელეგაციები: შვეციის დელეგაცია — 12 კაცი, ნორვეგიის — 48 კაცი და დანიის—5 კაცი. დელეგაციებში შედიან მეზღვაურები, რკინისგზელები, მელითონეები, ფეიქრები და სხვ. (ადს).

მოსკოვი, 4 ნოემბერი. 4 ნოემბერს ოქტომბრის ზეიმზე დასასწრებლად მოსკოვში ჩამოვიდა პოლანდიის დელეგაცია 9 კაცის, მათ შორის 2 მუშა-ქალის შემადგენლობით.

ბელორუსია-ბალტიის სადგურზე დელეგაციას შეხვდენ ტრიოხგორკის მუშები და მუშა-ქალები და რკინისგზელთა დელეგაცია (ადს).

შეყვანილი იქნება საფრანგეთის ჯარები

პარიზი, 4 ნოემბერი. საფრანგეთის საწინააღმდეგო კამპანიის, დაწყებულს გერმანიაში იმ ზომებთან დაკავშირებით, რომლებიც მიიღო საფრანგეთის მთავრობამ იმ შემთხვევისათვის თუ საარის ოლქის მმართველობის კომისია დახმარებისათვის მოიწვევს საფრანგეთის ჯარს, აქ აფასებენ, როგორც იმის ერთ-ერთ დამამტკიცებელ საბუთს, რომ ნაციონალ-სოციალისტები ამზადებენ რაღაც პროვოკაციას პლებისციტისათვის. გაზეთი „ტანი“ გერმანიის პრესის დემაგოგიური კამპანიის საპასუხოდ მოწინავე წერილში წერს: „შეუძლებელია ლაპარაკი საფრანგეთის სამხედრო ჩარევაზე იმ მიზნით, რომ მოახდინოს ზემოქმედება კენჭისყრაზე. მაგრამ თუ უახლოეს თვეებში საარის ოლქში მოხდება უწესრიგობა, რომელსაც ადგილობრივი პოლიცია ვერ გაართმევს თავს, და თუ მთავრობის კომისია გამოიყენებს თავის უფლებას და დახმარებისთვის მოიწვევს საფრანგეთის ჯარს, საფრანგეთი ვალდებული იქნება გამოეხმაუროს ამ მოწოდებას“ (ადს).

იტალიის პრესა საარის პრობლემის შესახებ

რომი, 4 ნოემბერი. უკანასკნელ დღეებში იტალიის პრესა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საარის პრობლემას. გაზეთი „ლავორო ფაშისტა“ წერს: თუმცა მოსალოდნელია, რომ საარის პლებისციტი დამთავრდება გერმანიისათვის ხელსაყრელი შედეგით, შესაძლოა, რომ განსაკუთრებით საფრანგეთის მოსაზღვრე რაიონებში საგრძნობი რაოდენობა ხმას მისცემს სტატუს—ქვოს შენარჩუნებას ან საარის შეერთებას საფრანგეთთან. ამ პირობებში, აცხადებს გაზეთი, საფრანგეთის აზრით ბუნებრივად უნდა მოხდეს ტერიტორიის გაყოფა (ადს).

გერმანული პრესის კამპანია

ბერლინი, 4 ნოემბერი. მთელი გერმანული პრესა განაგრძობს კამპანიას საარში შეუფერხებელი ხმისმიცემის უზრუნველსაყოფად, საფრანგეთის ჯარების განზრახული გამოყენების შესახებ გავრცელებული ცნობების ირგვლივ და საფრანგეთის წინააღმდეგ მიმართულ მკაცრ სტატიებში ყოველნაირად ცდილობს დაამტკიცოს ასეთი ღონისძიებათა უკანონობა.

„ბერლინერ ბერზენ-ციტუნგი“ აქვეყნებს გერინგის მოწინავე სტატიას. გერინგი, უცხოეთის ჯარის ნაწილებით საარის ოლქის პოლიციის შესაძლებელი გაძლიერების წინააღმდეგ მკაცრ გალაშქრებასთან ერთად, აცხადებს, რომ ბრძოლა საარის პლებისციტის ირგვლივ გერმანიასა და საფრანგეთს შორის მხოლოდ ახალ წინააღმდეგობებს შექმნის. გერინგი მკაცრად ილაშქრებს საარში სტატუს-ქვოს შესაძლებელი დარღვევის წინააღმდეგ და საკმაოდ გარკვევით შენიშნავს, რომ გერმანია საარის მცხოვრებთ პენსიების გაცემას შეუწყვეტს და საარის მრეწველობას დაკვეთებს აღარ მისცემს (ადს).

დუმერგის მუქარა

პარიზი, 4 ნოემბერი. 3 ნოემბერს დუმერგმა რადიოთი წარმოთქვა ახალი სიტყვა, რომელშიაც განაცხადა, რომ კონსტიტუცია მთავრობების ხშირად შეცვლას იწვევს და ხელისუფლების ავტორიტეტს არყევს. დუმერგმა გაილაშქრა აგრეთვე კომუნისტების და სოციალისტების ერთიანი ფრონტის წინააღმდეგ.

კონსტიტუციის რეფორმის თავისი პროექტის გამო დუმერგმა თქვა, რომ იგი ამისათვის ყველა საშუალებას გამოიყენებს და, თუ საჭირო იქნება, მოწოდებით მიმართავს ქვეყანას, რათა მან თავისი აზრი გამოთქვას. „მე არ მინდა პალატა დავითხოვო, — განაცხადა მან, — მაგრამ უყოყმანოდ ჩავიდენ ამას, თუ იძულებული გავხდები“.

დუმერგი აღნიშნავს, რომ იგი არავითარ დათმობასა და კომპრომისზე არ წავა, და მოუწოდებს მოსახლეობას გაერთიანდეს მისი პროექტის ირგვლივ.

როგორც პრესა აზუსტებს, დუმერგის პროექტისათვის მინისტრთა საბჭოში კენჭი არ უყრიათ, არამედ იგი მხოლოდ უმრავლესობის მიერ იქნა მოწონებული. რადიკალებმა განაცხადეს, რომ პალატის დათხოვნის პუნქტი მათთვის მიუღებელია. სენატის და პალატის კულუარებში დუმერგის გეგმები ძლიერ წინააღმდეგობას აწყდება (ადს).

გემბეშის გამგზავრება ვენასა და რომში

ვენა, 3 ნოემბერი. დღეს უნგრეთის პრემიერი გემბეში ჩავიდა ვენაში, სადაც იგი მოელაპარაკება პრემიერ შუშნიგს და საგარეო საქმეთა მინისტრს ვალდენეგს. პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ შეხვედრის დროს მოხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა გემბეშის ვარშავაში დარბაზობის გამო, ამასთან შესაძლებელია თვით გემბეშმა იკისროს შუამავლის როლი, რათა იტალიასა და გერმანიას შორის მიღწეულ იქნას შეთანხმება ავსტრიის საკითხზე. მოლაპარაკების დროს აგრეთვე შეეხებიან ავსტრიასა და უნგრეთს შორის არსებულ წინააღმდეგობებს. ხვალ გემბეში გაემგზავრება რომში, სადაც განიხილავს იტალიის და უნგრეთის ურთიერთობის საკითხს.

პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს გემბეშმა განაცხადა, რომ უნგრეთი ვენას და რომს სთვლის ისეთ პუნქტებად, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ უნგრეთის საგარეო პოლიტიკისათვის. ამასთან ერთად უნგრეთი ამტკიცებს კარგ ურთიერთობას ბერლინსა და ვარშავასთან. რაც შეეხება მცირე ანტანტას, გემბეშმა, აღნიშნა რა მისი მტრული პოზიცია უნგრეთის მიმართ, აღიარა, რომ მასთან სამეურნეო შეთანხმების ნიშნები ძალიან უმნიშვნელოა, ამავე მოტივებით მან გაილაშქრა რომის პაქტის გაფართოების წინააღმდეგ (ადს).

ბრძანება
ქალაქ ტფილისის და მისი რაიონების [illegible]

№ 80

1934 წლის 5 ნოემბერი ქ. ტფილისი

§ 1

ოქტომბრის რევოლუციის მე-17 წლისთავის დღეს, ა.-წ. 7 ნოემბერს, 10 საათისათვის ამიერ-კავკასიის ფედერაციის მოედანზე ვნიშნავ ტფილისის გარნიზონის ჯარების და ქალაქ ტფილისის ფიზკულტურული დივიზიების პარადს.

§ 2

პარადს მიიღებს კავკასიის წითელ-დროშოვანი არმიის სარდალი, კ.წ. არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოსთან და ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის მთავრობასთან ერთად.

§ 3

პარადს სარდლობა გაუწიოს № დივიზიის მეთაურმა ამხ. ბუაჩიძემ.

§ 4

ჯარები და ფიზკულტურული დივიზიები პარადის ადგილას 9 საათისათვის გამწკრივდენ.

§ 5

პარადზე გამოყვანილ იქნას საარმიო სამმართველოს ნაკრები ასეული, გარნიზონის ჯარის ნაწილები, მუშურ-გლეხური მილიციის ბრიგადა და ქალაქ ტფილისის ფიზკულტურული დივიზიები.

§ 6

პარადში მონაწილე ნაწილების ტანისამოსის ფორმა — საყარაულო, საზამთრო.

§ 7

ნაწილთა და ფიზკულტურულ დივიზიათა მეთაურებმა ა.წ. 7 ნოემბრის 7 საათისათვის ქ. ტფილისის კომენდანტის სამმართველოში, განყოფილების უფროსის ამხ. **ხვინგიას** განკარგულებაში გაგზავნონ მეხაზენი.

§ 8

ქალაქ ტფილისის კომენდანტმა გარნიზონის ჯარები და ფიზკულტურული დივიზიები პარადის ადგილას ჩემი მითითებით გაამწკრივოს.

§ 9

ორკესტრების ხელმძღვანელობას ვაკისრებ გარნიზონის ორკესტრების ინსპექტორს ამხ. დოლენკოს.

§ 10

პარადის და დემონსტრაციის დროს წესრიგის დაცვის საერთო მეთვალყურეობას და ხელმძღვანელობას ვაკისრებ ქალაქ ტფილისის კომენდანტს ამხ. **ბელოვს** და მუშურ-გლეხური მილიციის უფროსს ამხ. **წერეთელს**.

გარნიზონის უფროსი, კავკასიის წითელდროშოვანი არმიის შტაბის უფროსი — **ალაფუზო.**

უკრაინის მედიცინის დეკადა საქართველოში
უკრაინის მედიცინის ახალი სიტყვა

საინტერესო აღმოჩნდა, 4 ნოემბერს უკრაინელი მეცნიერების პროფ. **მელნიკის, პროფ. გალპერინის, პროფ. შამოვის** და **პროფ. სიტენკოს** მოხსენებები. პროფ. მელნიკმა გააკეთა მოხსენება ე.წ. ლიზოზიმის, როგორც ახალი ანტიბაქტერიული საშუალების შესახებ. ლიზოზიმს სწავლობს და სათანადო გამოკვლევებს ატარებს უკრაინის ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტი. გაირკვა, რომ იგი მკურნალობის საუკეთესო ეფექტს იძლევა გონორეის, თვალის სნეულების და ბავშვთა კუჭნაწლავების აშლილობის დროს. პრაქტიკულად ლიზოზიმის პრეპარატის მიღება ადვილია კვერცხის ცილისაგან.

პროფ. **გალპერინმა** თავის მოხსენებაში განმარტა, თუ როგორ მიაღწია მან კუჭის კიბოს გამო გაკეთებულ ოპერაციების შემდეგ სიკვდილიანობის 50 პროცენტიდან 18—20 პროცენტამდე შემცირებას.

საინტერესო იყო აგრეთვე პროფ. **შამოვის** და განსაკუთრებით პროფ. **სიტენკოს** მოხსენება ძვალთა გადასმის შესახებ, ძვალთა გადასმას მიმართავენ ძვლების ტრავმატული დაზიანების, რაიმე დაავადების, ან თანდაყოლილი ძვალოვანი დეფექტების გამოსასწორებლად. გადასასმელად შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ან ავადმყოფისავე და ან ცხოველის ძვალი. მომხსენებელმა დამსწრეებს გააცნო თავის გამოცდილება ამ საქმეში. ძვლების გადასმას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ომიანობის დროს და საერთოდ ტრამვატიზმის მკურნალობაში. მომხსენებელმა დიაპოზიტივებით უჩვენა დამსწრეებს მის მიერ ჩატარებული ოპერაციების შესანიშნავი შედეგები.

კამათში გამოსულებმა — პროფ. მ. ღოღობერიძემ, დოც. ცხაკაიამ, პროფ. ერისთავმა, დოც. ზაქარაიამ, დოც. გ. მუავანაძემ, პროფ. ა. წულუკიძემ და სხვ. მომხსენებლებს გაუზიარეს საკუთარი გამოცდილებანი.

დეკადის დღიური

დღეს უკრაინელი მეცნიერები პოპულარული მოხსენებებით გამოვლენ ტფილისის მუშათა კლუბებში. 7 ნოემბერს სტუმრები მონაწილეობას მიიღებენ დემონსტრაციებში, ხოლო 8 ნოემბერს საღამოს, დაესწრებიან ტფილისის საბჭოს მიერ მოწვეულ სხდომას, სადაც განხილული იქნება ტფილისის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმა.

9 ნოემბერს დილით დელეგაცია განაწილდება ბრიგადებად. ერთი ბრიგადა გაემგზავრება ბაქოში, მეორე — ერევანში, მესამე — ქუთაისსა და წყალტუბოში, მეოთხე აჭარისტანში და მეხუთე აფხაზეთში.

ვაჭრობა ოქტომბრის დღესასწაულების დღეებში

ოქტომბრის დღესასწაულების დღეებში ვაჭრობა ტფილისის სამომხ. ორგანიზაციათა კავშირის სისტემის ხაზით (ტსოკ) იწარმოებს შემდეგი წესით:

7 ნოემბერს ჩვეულებრივი წესით ვაჭრობენ ყველა გასტრონომიული და პურის სავაჭროებში, გარდა იმ მაღაზიებისა, რომლებიც მდებარეობენ ა.-კ. ფედერაციის მოედანზე.

კომერციულ სასადილოებში ვაჭრობა 7 ნოემბერს იწარმოებს ნაშუადღევის 4 საათიდან.

სამრეწველო საქონლის გაერთიანების სავაჭრო წერტები 7 ნოემბერს ვაჭრობას არ აწარმოებენ.

8 და 9 ნოემბერს ვაჭრობა ტსოკ-ის მთელ სისტემაში წარმოებს ჩვეულებრივი წესით.

*

იმ ქუჩებზე მდებარე **საპროდუქტო მაღაზიების** კარებში, რომლებზედაც დემონსტრანტები გაივლიან, ტსოკ აწყობს საკონდიტრო და სხვ. ნაწარმის გაყიდვას.

ამას გარდა, ტსოკ გამოყო სამი სპეციალური ავტომანქანა და 30 საწვრილმანო სავაჭრო. ამ წერტებში გაიყიდება ხაჭაპური, ნამცხვრები, ვენის ბულკები, უალკოჰოლო სასმელები და სხვ.

*

ოქტომბრის დღესასწაულის დღეებში მომხმარებლისათვის მომსახურების გასაწევად ტსოკ-ი თავის საპროდუქტო მაღაზიებში გზავნის ბოსტნეულის კონსერვებს (ბადრიჯანი, პილპილი) დიდ პარტიას, რაც გაიყიდება 1 მან. და 80 კაპეიკად ქილა (400 გრამი). გასასყიდად გამოტანილი იქნება ახალი თევზის კონსერვების, ქათმის კონსერვირებული რაგუს, ზურგიელის, ხიზილალის, ფარგას, თართის დიდძალი რაოდენობა.

ამას გარდა, მაღაზიებში გაიყიდება ახლახან მიღებული ყველი, ღორის ხორცი, მურაბა, პავიდლო და ყოველგვარი საკონდიტრო ნაწარმი.

ტსოკ კულინარული სკოლა გადაყვანილია სამ ცვლად მუშაობაზე.

*

9 ნოემბრიდან ტსოკ საპროდუქტო მაღაზიებში ყოველდღე გაიყიდება დაწესებული სტანდარტის 2.800 ბულკი. ბულკი ღირება 2 მან. (ადს).

ხელოვნება

კოლმეურნეთა გუნდის კონცერტები

ბ. აკობიას ხელმძღვანელობით არსებულ ზუგდიდის კოლმეურნეთა გუნდი რესპ. სახ. არტისტის **კ. ფოცხვერაშვილის** მეთაურობით მივლინებულია განსახკომის მიერ წყალტუბოში სახალხო კონცერტების გასამართავად.

ოპერის და ბალეტის ს ხელმწ. თეატრი

დღეს მე-13 აბ. მე-2 წარ.	7 ნოემბ. ქარხნებისა და წითელ არმიისთ.	8 ნოემბერს	9 ნოემბერს 1 აბონ. 2 წ.	10 ნოემბ. 15 აბ. 2 წარმ.
დაისი	აიდა	წარმოდგენა არ არი	ქეთო და კოტე	პიკის ქალი

აბონენტები რომლებსაც არ ექნებათ გადახდილი მე 4 საბონემენტო შესატანი, კარგავენ წარმოდგენაზე დასწრების უფლებას, ხოლო მათი ადგილები გაიყიდება. დაიწყო მეხუთე მორიგი შესატანის მიღება ბილეთების გაყიდვა და ფულის მიღება წარმოებს ყოველ დღე, დღისით 11-დან 2 საათამდე, საღამოს 6-დან 9 საათამდე. წარმოდგენის დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

რუსთაველის [illegible] თეატრი

დღეს 15 აბონ 2 წარ	8 ნოემბერს 10 აბონ. 2 წარ.	9 ნოემბერს 1 აბონ 2 წარ.
ნაბიჭვარი	დუშმანი	დუშმანი

მესამე გადასახადი სავალდებულოა
სალარო ღიაა 11—2 ს. 6—9 საათამდე.
დასაწყისი 8 საათზე

მარჯანიშვილის თეატრი

6 ნოემბ. აბონემ. გარეშე	წარმოდგენა № 9 ნინოშვილის გურია
7 ნოემბ. აბონ. № 10 1-ლი წარ.	წარმოდგენა № 10 ნინოშვილის გურია
8 ნოემბ. აბონ. № 2 1 ლი წარმ.	წარმოდგენა № 11 ნინოშვილის გურია
9 ნოემბ. აბონემ. გარეშე	წარმოდგენა № 12 მზის დაბნელება
11 ნოემბ. აბონ. 3 1-ლი წარმ.	წარმოდგენა № 13 ნინოშვილის გურია

აბონენტები, რომელთაც არ ექნებათ გადახდილი მეორე გადასახადი 1-ლ წარმოდგენაზე დაშვებულნი არ იქნებიან. სალარო ღიაა 11—2 ს. 6—9 ს. დასაწყისი 8 საათზე.

ექიმი
ი. ჭეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის დაავად. იღებს დილის 8—9 საათზე, და საღამოს 6½—8½ საათ. მისამართი კამოს ქუჩა № 72 (ალექსანდროვის სააგადმყ. პირდაპირ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ოთხ ნოემბერს დილის ექვს საათზე გარდაიცვალა კავშირის უხუცესი წევრი, დამსახურებული მწერალი

ვასილ ბარნოვი

სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს 7 საათზე ბინაზე ბარნოვის ქ. № 16.

დაკრძალვა 10 ნოემბერს.

ლევან ასათიანი

შეძლებული ცხოვრებისაკენ

ნაფარეულის ბოლოზე მთის პაწია მდინარე ჩამოდის. ვიწრო კალაპოტი აქვს, სარკესავით გამჭვირვალეა, მისი ცისფერი ტალღები ალბათ სავსეა ფორეჯიანი კალმახით. კალაპოტი კი ვიწრო აქვს, მაგრამ მისი გაშლილი ნაპირები მთის დავაკებიდან მოკიდებული ალაზნის შესართავამდე მესკია ჩიტის ერთ გადასაფრენზე მოსილულ მორიყულია. ეტყობა ავდარში გახელება იცის. აბა მაშინ უნდა ნახოთ, როგორ შეიცვლის ფერსა და იერს, როგორ მოდიდდება, მოზღვავდება, შეიერთებს ლეკის მთის მწვანე ფერდობებიდან მომსკდარ ნიაღვრებს და წამოიღებს ნაშალ ქვას და კლდიან მოხლეჩილ ვეება ლოდებს. აღელვებული, აზავთებული გრგვინვითა და ღრიალით ჩამოიჭრება ველზე და ფართედ გაშლის თავის მღვრიე, აქაფებულ ზვირთებს.

ვინ გადაუდგება წინ თავხედი და სიცოცხლემოძულებული ამ მძვინვარე სტიქიონს? ნაფარეული და სანიორე ამ დროს მორჩილად გასცქერიან ერთმანეთს გაღმა-გამოღმიდან და ელოდებიან ჭირვეულის დაშოშმინებას.

რამდენჯერ წამოსწრებია კოკისპირული წვიმა, რამდენჯერ დალევია შიშით პატარა გული ამ გახელებულ მდინარის შეხედვაზე შვიდი წლის ვანიას, რომელიც წყლის ნაპირებზე სოფლის ხბორებს მწყემსავდა. თავშიშველი, ტანშიშველი, დასველებული, გაცვეთილ ქალამნებში ჩაცმულ პატარა ფეხებს ძლივს მიალაჯებდა ხოლმე ტალახში და აჩქარებით მიერეკებოდა სოფლისაკენ მასავით გალუმპულ, აძაგძაგებულ ხბორებს.

ობოლი იყო პატარა ვანია, ერთი ოხერი ქვრივის უმცროსი შვილი. სისაწყლეში გაზრდილმა, სიმწრით გამოკვებილმა მან გაუხარებელი ბავშობა გაატარა.

სოფლის შუაგულში, იქ სადაც ბატონის ძველი წისქვილი იყო წამოჭიმული, ვიწრო ორღობიდან ძლივს მოსჩანდა დედამისის პატარა ფიცრული ქოხი.

დილის სისხამზე, იმ დროს, როდესაც გაღმა გომბორის ტყიანი ქედები ალიონის სხივებს ჯერ კიდევ არ შეეღებათ ვარდისფრად, როდესაც ველზე მშფოთვარე ალაზანს სქელი ნისლის საბანი ეხურა და აქა-იქ კიდევ ყიოდენ დაგვიანებული მამლები. ტკბილად მძინარე ვანიას ფრთხილი ალერსით აღვიძებდა დედამისი:

— ვანი, შვილო, ადი განაცვალოს დედა, ადე.—ხმა დაბლა ჩასძახოდა ქვრივი თავის საყვარელ ბიჭიკოს. სიყვარულით გულმკერდში გრილ ხელს უფათურებდა, აბურძგნილ თმებში კოცნიდა. ეცოდებოდა დედაკაცს ბავშვი, რომელსაც ტკბილი ძილისათვის თავი ვეღარ წაერთმია: გული სტკიოდა მშობელს, მაგრამ რა უნდა ექნა? გაჭირვება აღრჩობდა, ოჯახის მარჩენელი ვაჟკაცი გვერდით აღარ ედგა, ვის უნდა შემოეტანა სარჩო-საკვები? უფროსი ვაჟიც, 13 წლის გიორგი, უთენია გუთანში იყო წასული,—ისიც დიდი ხანია, რაც დასრულებული ვაჟკაცივით ოჯახის საზრუნავში იყო ჩაბმული.

...და იმ დროს, როდესაც სოფლის ყველა ბავშვებს უდარდელად ეძინათ, სანიორეს ვიწრო ტალახიდან ორშარებში ვანია უკვე მიდენიდა კუდაბზიკებსა და მხიარულად მოკუნტრუშე ხბორებს.

მხარზე გრძელი სახრე ჰქონდა გადებული, ათასგან დაკერებულ ჩანთაში ხმელი პურის ყუა ეგდო, უკან კიდევ განუშორებელი ნაგაზი მისდევდა.

სოფლის მოშორებით, ალაზნის ველზე დილიდან საღამომდე რჩებოდა მწყემსი.

დაუვიწყარია მის ხსოვნაში ეს დღეები... შუადღისას სოფლიდან მონადენ სიოს წყლის პირზე ჩამოჰქონდა ზარის წკრიალი ხმა და ბავშვების მხიარული ჟივილხივილი.

სხვისი შვილები სკოლაში დადიოდენ, ვანია კი ამ დროს ველებზე დაეხეტებოდა, მარტოდ-მარტო, ნახევრად მშიერი და სოფლის ბოზოლების ხბორებს დასდევდა.

ასე გადიოდა თვეები და წლები.

დაუვიწყარია ეს მწარე ბავშობა. ვანიას მუდამ ეხსომება მწყემსობაში გატარებული დღეები: გაზაფხულის გრილი, ვარდისფერი ალიონებით, ზაფხულის პაპანება სიცხითა და შემოდგომის სუსხიანი ბორიოთი.. კიდევ: ალაზნის სევდიანი ღუდუნი, მურიას გაგულისებული ყეფა წყლის პირზე და დედანატრული ხბორების საცოდავი ბღავილი.

★

გაიარა ხანმა, ვანია წამოიზარდა, სოფელმა მას უკვე თავისი ნახირი ჩააბარა.

ვანია სხვის საქონელს მწყემსავდა, მისი ძმა გიორგი სხვის მიწებს ხნავდა, დედა კიდევ სხვის ქათმებს უვლიდა ან სხვის წინდებს ქსოვდა. საკუთარი მათ მხოლოდ პატარა ქოხი და დიდი გაჭირვება გააჩნდათ.

მიწები? ორივე ძმას ოთხი დღიური საყანე დაუტოვა მამამ. მაგრამ რათ უნდოდათ მიწა, თუ ვერ მოიხმარდენ? მიწას დამუშავება სჭიროდა, ამისათვის კი ხარი და კამეჩი იყო საჭირო... ობლების მიწით მეზობელი ბოზოლა სარგებლობდა, მიწის ბარაქა და ხვავიც მას მიჰქონდა.

მაინც იმ დროს „მიწის ოხრობა“ იყო. კაცი ის გახლდა და ქუდიც იმას ეხურა სოფელში, ვისაც ყევარი ხარ-კამეჩი ყავდა შებმული გუთნეულში. იყო ასეთი დროც ჩვენს სოფელში...

★

ათასცხრაას ოცდარვა წლის დეკემბერში, სოფელ სანიორეს შვიდმა ულარიბესმა გლეხმა და მოჯამაგირემ პირი შეჰკრა, ერთმანეთს ძმობა შეჰფიცა და საერთო ძალებით ადამიანური ცხოვრების შექმნა განიზრახა. ვანია მაშინ ჯერ კიდევ მენახირე იყო. სანიორეს შვიდი ღარიბის ისტორია ეს ჩვეულებრივი და ნაცნობი ისტორიაა ათეული და ასეული ათასი ღარიბი გლეხკაცისა საქართველოში.

სანიორელ კოლმეურნეებს თავდაპირველად მხოლოდ თოთხმეტი ღონიერი მკლავი და ნახევარი მტკაველი მიწა გააჩნდათ. „ქვეყანა“ დასცინოდა მათ, ქვეყნის აზრს კი კიდევ სოფლის ბოზოლები ქმნიდენ. მაგრამ ამ დაცინვას არ შეეპუა შვიდი შეფიცული. გაკერპებულებმა მიწას შეუტიეს: მოხნეს, დათესეს, დაფარცხეს და ზაფხულზე პურის პირველი მოსავალიც მოიმკეს. ამით არ დაკმაყოფილდენ: საზამთროს ბაღიც გააშენეს და საზამთროს ფულით ენკენისთვეში ალავერდობაზე ხუთი ყორანა კამეჩი იყიდეს.

იმავე შემოდგომაზე სანიორელმა კოლმეურნეებმა ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობის ჭაჭა გამოხადეს, ჩასაბარებელი ჩააბარეს, დანარჩენი თითონ გამოიყენეს. ეს დანარჩენი ცოტა როდი იყო. ოთხმოცმა ვედრა არაყმა კოლექტივი ფეხზე დააყენა და წელში გასწორა. კოლექტივის წევრთა რიცხვმა ოცდაცხრამეტს იმატა, მათ შორის სამი საშუალო გლეხიც ერია.

სოფელი ამ დროს ყრუდ მძიმედ ბორგავდა, როგორც თვალუწვდენელი ზღვის მკერდი ქარტეხილის მოლოდინში. სოფელში იწყებოდა ისტორიული დღეები. ეს იყო „დიდი გარდატეხის წელი“...

ჩვიდმეტი წლის მენახირე ვანია გოგინაშვილი იმ ხანად უკვე ლიკსკოლაში დადიოდა და ვაჟკაცობაში შესული ბიჭი ანაბანას სწავლობდა. ძნელი იყო მისთვის სწავლა, ჭკუა უკვე გადასული ჰქონდა, არც გარემოება უწყობდა ხელს. მაგრამ სწავლის სურვილი ანთებასავით მოსდებოდა ყმაწვილს. შემოდგომის ბევრი საღამოები გაუტარებია ვანიას კერიის მბჟუტავ ცეცხლთან წიგნით ხელში. ქოხში ზნელოდა, ცოდა, სამი სული ძლივს ეტეოდა მის ვიწრო კედლებში... მაგრამ ვანია დაკარგულ წლებს სინანულით ითვლიდა, ცისმარე დღე წიგნს ჩაჰკირკიტებდა და ოცნებაში წასული თავის მომავალზე ფიქრობდა.

პირველი და მთავარი ოცნება ვანიასი ამ გულჩათხრობილ ქოხიდან გამოსვლა იყო. ნამდვილი სოროა,—ფიქრობდა ვანია,—როდის მოვესწრებით იმ დღის, რომ თავი დავაღწიოთ ამ სოროს და ისეთი სახლი ავიშენოთ, როგორსაც ჩვენი სოფლის კოლმეურნეები იშენებენ.

მაგრამ სახლის აშენება განა ადვილია? დღე და ღამე რომ გავასწოროთ ორივე ძმამ, ალბათ იმდენს მაინც ვერ ვიშოვით, რომ აგურის ორი ოთახი დავიდგათ. ცალკე შრომას ბარაქა არა აქვს. ხარ-კამეჩი ჩვენ არ გვყავს, რომ საკუთარი მიწა მოვხნათ-მოვთესოთ, დღიური შრომით კი თავის გატანაც საძნელოა, არამც თუ სახლება...

კოლექტივი კი დღითი-დღე შენდება და ფეხზე დგება. კოლექტივს საკუთარი აგურის ქარხანა აქვს გამართული, საკრამიტეც მოაწყო... ასე იცის საერთო შრომამ, მხარი-მხარში დგომამ და ერთმანეთის გატანამ. ჩვენ კი... სოფლის ბოზოლების ჩურჩულსა და ჭორებს აყოლილვართ... და შიმშილით ფერდები გვიხმება...

ასე ფიქრობდა საგონებელში ჩავარდნილი მენახირე. დღე-დღეს მისდევდა და თვე-თვეს. სოფელში ნელნელა წამოიჭიმა კოლმეურნეების ორსართულიანი სახლები. ვანია და გიორგი თავის მოხუცი დედით ისევ ქოხში ცხოვრობდენ...

★

...კარებში გახიდულმა ბანდიტმა თოფი ამართა და ნიშანში თავმჯდომარის მკერდი ამოიღო. ერთი წუთი და თავმჯდომარის ცოლი შეშლილივით ეძგერა ბანდიტს მარჯვენაში. ჩახმახი დაეცა და ოთახი შაშხანის ჰექამ დაფარა. მერე თითქოს ყველაფერი მიყუჩდა. ტყვიაზედ მძიმე მყუდროებამ დაისადგურა ირგვლივ. მხოლოდ სოფლის ბოლოში კიდევ ისმოდა ძაღლების გაბმული და აწივლი ყეფა.

სოფელი შეშფოთდა, შეირყა, აბორგდა. სოფელში პირველი სისხლი დაიღვარა. და ეს სისხლი კოლექტივის თავმჯდომარის იყო...

თავმჯდომარე გადარჩა. ტყვიამ მას მხოლოდ მარცხენა ხელის ნეკი წაგლიჯა.

სოფლის კულაკებმა კოლექტივს დაუმიზნეს გულში, მაგრამ კოლექტივმა ამ ბრძოლაში მხოლოდ თავმჯდომარის ნეკი დაჰკარგა.

ეს ნეკი დღესაც ისტორიულ თითად რჩება სანიორეს კოლექტივის ყველა მუშა-თითებს შორის.

მან მსხვერპლად შეიწირა სანიორეს ბევრი კულაკი და მუქთახორა.

ამ საბედისწერო დღეებში სანიორეს კოლექტივი პატარა გარემოცულ კოშკს წააგავდა. მის კედლებს გაბოროტებით ეხეთქებოდა კულაკობისაგან აღძრული გლეხური სტიქიონი.

მენახირე ვანია ამ დროს კოლექტივის აქტიური წევრი იყო.

არა, მან საბოლოოდ და ურყევად გადასწყვიტა კოლექტივში ყოფნა. განა იქ არ იყვნენ მასავით ღატაკები და მოჯამაგირეები? განა იქ არ იყვნენ ბარძიმაშვილი შაქრუა და ზბრამაშვილი ალექსი? ციციაშვილი ვანია და თათულოვი მუღდანა? განა იქ არ იყვნენ ყველანი, ვისაც წინად გაჭირვებისაგან სული ხდებოდათ, ეხლა კი ერთმანეთის დახმარებით, მხარი-მხარში დგომითა და ამხანაგობით უკვე შეძლებული ცხოვრების გზები გახსნოდათ წინ?

მხოლოდ ერთი რამ აწუხებდა ვანიას. ეს იყო მისი უფროსი ძმის ჯიუტობა.

— თავი დამანებე ერთი,—ბუზღუნობდა გიორგი,—კოლექტივში ყოფნა მე ხელს არ მომცემს, ცოტა მექნება თუ ბევრი, ჩემი თავის ბატონი მე ვიქნები, დამაცა ჩემთვის ვიმუშავო.

მაგრამ ვანია არ ეშვებოდა. მოჰქონდა შინ გაზეთები, წიგნები, უკითხავდა ძმას ქვეყნის ამბებს, სხვა კოლექტივების წარმატებას, უხსნიდა, ჩასჩიჩინებდა, მაგრამ... გიორგი [illegible] და სულ ერთთავად „დამაცა“, „დამაცა“ გაიძახოდა. მაგრამ იქ, სადაც წიგნმა და გაზეთმა ვერ უშველა საქმეს, კოლექტივის [illegible] გასჭრა.

1930 წელს ვანიამ შრომადღეების მიხედვით კოლექტივიდან მიღებული თავისი წილი მოსავალი შინ შეზიდა.

— თავის თვალს აღარ უჯერებს გიორგი. „ერთი ამ ლაწირაკს დამიხედეთ, — ამბობს ის და რაღაცნაირი ღიმილით მისჩერებოდა გახარებულ ვანიას, რომელიც მზრუნველობით ინახავდა თავის მონაგარ მოსავალს, — ორ მაგდენს ვმუშაობ, წელიწადში [illegible] ფეხს ვიდგამ და მაინც ნახევარი [illegible] ვერ შემომიტანია.“

ეხლა კი მოლბა ჯიუტი გლეხკაცის გული...

ორი დღის შემდეგ გიორგიმ კოლექტივის კანტორაში დაწერილებით მიიტანა ვანიას გულმოდგინე ხელით გამოყვანილი განცხადება.

ძმებმა იმავე წელს გადასწყვიტეს სახლის აშენება.

კოლექტივი გულმოდგინეთ მოეხმარა ახალგაზრდა ბიჭებს. კოლექტივის კამეჩებმა აგური, ქვა და კირი მოზიდეს. ნაქირავები კალატოზები იმავე კოლექტივმა გაისტუმრა ნატურით და ხირჯი თავის ახალგაზრდა წევრებს წლის ბოლოს გამოზარა შემოსავლიდან. კრამიტიც კოლექტივის ქარხნიდან მოუვიდათ ახალ მოსახლეებს. არც რჩევა და დარიგება მოუკლიათ კოლმეურნეებს თავის ახალგაზრდა ამხანაგებისათვის.

... ერთი წლის შემდეგ ქვრივის ფიცრული ქოხის გვერდით ორსართულიანი ქვიტკირის სახლი წამოიჭიმა, ფართე აივნით და მაღალი, ნათელი ფანჯრებით.

ეს სახლი ძმებს 6.000 მანეთი დაუჯდათ...

შემოდგომის საღამოზე, ამ სახლის აივანზე ვისხედით მე და ვანია.

წელს ვანიას თელავში საანგარიშო კურსები დაემთავრებია და ეხლა კანტორაში შრომის აღრიცხვაზე მუშაობდა.

ოთახის კარები ღია იყო. მოსჩანდა დიდი სუფთა ოთახი, მაღალი ჭერით და თეთრათ შეფეთქილი კედლებით.

კუთხეში ფრანგული საწოლი იდგა, თეთრად მოკამკამე ბალიშებითა და ზეწრით. სუფრაგადაფარებული მაგიდა, ტანისამოსის შკაფი, სკამები, კედელზე ფართო ხალიჩა... ყველგან სისუფთავე და წესრიგი იგრძნობოდა. კულტურული ცხოვრების სხივი ადგა იქაურობას.

— თავისუფალ დროს გაზეთების კითხვასა და მეცადინეობას ვანდომებ, — სიამაყით მიამბობდა საუბარში გართული ვანია, — იქნებ არ დამიჯეროთ, მე ოთხი გაზეთი მაქვს გამოწერილი. ვანია ადგა და ოთახში შევიდა. ჩქარა მან იქიდან მართლაც გამოიტანა რამდენიმე ნომერი „კომუნისტის“, „ახ. კომუნისტის“, „სტალინელის“ და „კოლმეურნის ხმისა“

— 31 წლიდან კომკავშირის წევრი ვარ, განაგრძობდა ვანია, — ეხლა რაიკომმა პროპაგანდისტად გამიმყო და ყოველ ოთხშაბათობით წრეს ვმეცადინებ...

— განა საკითხავია? წინათ ოცნებაც კი არ შეგვეძლო მე და ჩემს ძმას ასეთ ცხოვრებაზე. სახლი ხომ დავიდგით, — ეხლა ნელნელა ავეჯსა და ქონებასაც ვიძენთ. მაგალითად წელს მე ვიყიდე საწოლი, 5 სკამი და ხალიჩა, რომელშიაც 550 მანეთი მივეცი. ძალიან გულით მინდა და ჩქარა შევიძენ კიდეც პატეფონს.. დაუკრავ ხოლმე, გულს გადავაყოლებ.. ჯერჯერობით კი პატეფონის მაგიერობას აი ვინ მიწევს. — ვანიამ გაიცინა და აივნიდან გადმოიხედა.

ქვემოთ, აივნის გვერდით, მათი ძველი საცხოვრებელი ქოხი იდგა; ქოხის წინ შესაწნავად იორქშირის ბურაკი ჰუჭყუნებდა. ნებიერ ღორს ჯიუტი დიდი [illegible] ეწვია და გაუმაძღარი საკვებს მოითხოვდა.

— ეს ღორი ჩვენი კოლექტივის ფერმიდან მყავს წამოყვანილი, — მითხრა ვანიამ, — საკვები ბლომად აქვს, მაგრამ როგორც საჭიროა ისე მაინც ვერ ვუვლით: განა ეკადრება მაგისთანა ჯიშიან ღორს ასეთი სადგომი? და ვანიამ თავის სუფთა საჩვენებელი თითი იმ ქოხს მოუშვირა, სადაც თავისი ბავშობა გაატარებინა.

მისამართები: რედაქციის, რუსთაველის პროსპექტი № 16, გამომცემლობის, რუსთაველის პროსპ. № 84. ტელეფონები: რედაქტორის 3—62—26, რედაქტორის მოადგილის 3—62—08, პასუხისმგებელი მდივნის 3—06.88, მასობრივი განყოფილების 3—73—24, პარტმშენებლობის განყოფილების 3—57—61, სამრეწველო განყოფილების 3—73—40, ხაზმის 3—27—04, გამომცემლობის — 3-51-81. ხელთნაწერ-ებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს

სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 58 მთავლიტის რწმუნებული 9339